

100
19594
2

ქ. ქორევის

ათასობის მოთხოვები



წიგნი მეორე.

გამომცემელი
ნიკ. ახვლევიანი.


რუთაისი
ადგილობრივი მეურნეობის სტამბა.
1925

ჯავა კორუპში.

25941

ფერადი მოთხოვბები

წიგნი მეორე.



ფილაცია

ქუთაისი
ადგილობრივი მეურნეობის სტამა.
1925

ნებადართულია მთავსამლიტგამის მიერ, № 425.

ტირაჟი 2 000.



15

ოდეს შენ მიმზერ, შავევალ-წარბა ტურთა ასულო.
კი რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— თითქოს მზის სიიბო, სისხლსა მიღელვებს და
ენატრება საღმე შორს ვიყოთ, აღმოსავლეთში, ფერადათ
ორთულ კოხტა ოთახში — ნოხზე დამჯდარი, წითლათ
ჩემეული, ნარგილით ხელში... მხევეწებოდე ზღაპრის მო-
ულას - და მე, დამთვრალი შენი თვალების გიჟური
უცხლით, ნელათ გითხრობდე აღმოსავლეთის მდიდარ
ოცნების შენაკონავსა ლამაზ თქმულებებს!!

* *

ოდეს შენ მიმზერ, ცასფერ თვალა, თეთრო ასულო,
იცი რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— სულით დამტკბარსა, ნაზი ალერსი გულს მოუნ-
დება: ... მსურს ერთად ვიყოთ ლამაზსა ტყეში, მწვანე ვეირ-
ვეინი შენ თავზე ვედგას, და მაღლობილან ველზე ცხვრის
ფარს ვუმზერდეთ წყნარათ...

მწყემსის სამოსით, მწვანე ბალაზზე ჩვენ გაწოლილი,
ვისმენდეთ პანის სადიდებლათ ბუნების მიერ შეთხულ
ქებასა!...

* *

ოდეს შენ მიმზერ, თაფლისთვალა უცხო ასულო, იცი
რასა ვგრძნობ, რა მენატრება?

— რალაც სურვილს ვგრძნობ, ვნების ამშლელს, და
მსურს შორს საღმე, ცხელ-ჭვეყანაში, ზღვის თბილ ნაპი-
რას, მზის სხივების ქვეშ ფერადი სილით კოშკებს ვაგებ-
დეთ — და ამ ჩვენს ღვთიურ უდარდელობას ნელი ტალ-
ღები ნაზი შრიალით მარადისობის ჭიმნს უგალობდეს!...

ახალგაზიდა რაპიშს კეკლუცი სიშა შეუყვარდა.

ინდოეთის თფილმა მზემ ეს გრძნობა ისე გაალვივა, რომ როდესაც ჭაბუქმა ქალისაგან უარი მიიღო, იგი და-კოდილი ნადირიეთ დაიარებოდა. დიდ წამებას შემდეგ რაპიშმა ჯადოსანს მიმართა.

თილისმამ ვერაფერი შესძლო.

რაპიში დაღონდა

ახლა იგი გავდა იმ შველს, რომელსაც გულში მონა-დირის ისარი მოხვდა.

მაშინ ინდუსმა თავდავიწყება სცადა:

გადაიკითხა ვედი, რიგვედა, მთლად შეისწავლა მაგა-ბარატა ..

სიბრძნემ ვერ მოკლა სიყვარული

რაპიში ჰეუდგა მოგზაურიობას; ნხა საუცხოო ტბე-ბი, მომხიბლავი მთები და აყვავებული მიღვრები...

სიშორემ ვერა სძლია სიყვარულს.

რაპიში შინ დაბრუნდა.

ერთხელ, როდესაც მოქნეული ჭაბუკი ლერწმის ბუჩქის ძირის ჩრდილოში იწვა, მან პატარა ჩიტი დაინახა...

ჩიტმა კისერი ამაყად მოილერა და ოქროს ხეით ისეთი მომხიბლავი ჰანგები შეთხა, რომ რაპიშმა სიამოვ-ნების გამო თვალები მინაბა.

გავიდა ცოტა ხანი და ჩიტს მეორე გამოეხმაურა, და ჩიტმა ისე ლამაზად, ისე ჯადოსნურად შეხლართა ხმე-ბი, რომ იმ ჰანგში ნათლად ამოიკითხებოდა მისი გულის წადილი.

თავისუფალმა მგოსანმა საწალელს მიალწია, რადგა-ნაც ის, ვისთვისაც იგი ილეოდა, მას ნელა მიუხლოვდა.

ამის დანახვაზე რაპიშს გაახსენდა, რომ სალამურზე უკრავდა.

ახალი მთვარის მსგავსი ხანჯლით მან ლერწამი მოსჭრა.
ახლა რაპიმი სიმას რო დაინახავდა, სალამურს იმ
რიგათ დაუკრავდა, თითქოს მთელი გული, აბრეშუმის ძა-
ფად ქცეული, იმ ხმას გარს ეხვევოდა.

სიმას გული აენთო და მალულად დაუწყო სმენა .

სალამურის ტკილმა ხმება: ა ააღელვა ასულის გრძნო-
ბა და ერთს დღეს ..

ტანჯულმა რაპომ დაინახა, რომ სიმას ანთებული
თვალები სიყვარულის ნაპერწკლებს გარტო მისთვის აფრ-
ქვევდა...

ამის შემდეგ სალამური შეიქნა შეყვარებულთათვის
შორეულ ბეჭნიერების დამაახლოებელ საგანძურათ.

ბ ა ვ ჟ ე ბ ი.

ზაფხული იყო.

ცაზე მზე აკვანში მწოლიარე ბავშივით იცინოდა.

ცხელოდა.

მგზავრი, რომელიც წყლის პირად მიღიოდა, მოსა-
სვენებლად კაკლის ხის ქვეშ ჩრდილოში ჩომოჯდა.

ანაზდად მდინარის ნაპირიდან მას ბავშების სიმღე-
რა მოესმა.

სუბუქი, ტკბილი და ბუნებრივი იყო იგი სიმღერა.

დამტკბარმა, მოჯადოებულმა მგზავრმა ბავშები მოი-
ხო, დაასაჩუქრა და სოხოვა ემღერათ.

ბავშები აფუსტესდენ.

მოინდომეს მეტი შთაბეჭდილების მოხდენა.

დაიწყეს ხმების სინჯვა, ჰანგთა შეწყობა, შეთან-
ხმება. ბევრს ეცადენ, მაგრამ..

ახლა მათს სუმღერას ძველებური ზეაღმტაცობა
აკლდა...

თ ა ი ბ უ ლ ი.

მგოსანია სცენიდან მშვერიერი ლექსი წაიკითხა.

იგი ხატავდა ლაჟვარდოვან ცხოვრებას და ახალ-გაზდობას წინ უშიშრად სვლას უჩერევდა.

საზოგადოება მგოსანს აღტაცებით მიევება.

ახალგაზდა ლენა, რომელიც იმ სალამოს დაესწრო, მგოსნის აფრთოვანებულმა ხმამ და ლექსმა ისე მოხიბლა, რომ ზეორე დღეს მგოსნის ბინა გაიგო და თაიგულით ხელში გაემართა.

— მსურს ვნახო მგოსანი, გავიცნო იგი და ის ადგილიც, სადაც ასეთი გამბედავი, ზეალმტაცი სიტყვები იწერება!

ფიქრობდა ლენა.

და რაც უფრო უახლოვდებოდა მგოსნის ბინას, მით უფრო მაგრათ უცემდა გული.

აი, მგოსნის ოთახის კარებიც.

ახლა ლენამ შინ გამობრუნებაც დააპირა,

მაგრამ შემდეგ კარებს ნელა დააკაკუნა.

ხმა არ ისმოდა.

გაიმეორა და თან წყნარად მიაწვა კარს.

კარი მოეფინა და

გაოცემულმა ლენამ დაინახა...

მგოსანს მაგიდაზე ეძინა. წინ პურის ნატეხი და ნახევრად ცარიელი ბოთლი ედგა. ჰაერი არაყის მძაფრი სუნით იყო გაელენთილი.

ელდანაცემი ლენა გამობრუნდა.

სიყვარული, სიკვდილი და ხელოვნება.

ლერწმის ტანის შეონე ახალგაზდა ასული, რომლის ლრმა ცისფერ თვალებს სიყვარულით ჩასცეროდა მასთან მიმავალი ვაჟი, ბაღის იმ კუთხეს მიუახლოვდა, სადაც ვარდ-ყვავილებს მხატვრულად ხელთუქმნელი ფაჩანტური აეგოთ.

— აქ დავისვენოთ! — სთქვა ასულმა და ძეწნის წნელით, შეხლართულს სავარძელზე ჩამოჯდა.

— საუცხოვო რამ ადგილია! — სთქვა ვაჟმა.

შზის თბილმა სხივებმა, ზლაპრულმა ადგილმა და დამათრობელმა სურნელებამ ახალგაზდები ნელ-ნელა იმ ტკბილ გრძნობით დაათრო, როცა ორი სული ლვიურ ერთობას პოულობს ხოლმე.

წუთი წუთსა ხიბლავდა ..

ასულის გამჭვირვალე სამოსელში თეთრი ტანი უეც-რად ათროთოლდა.

— აი, ისამანის ძირს შეხედეთ! — სთქვა ასულმა და მის წარბეგ შორის ლრუბელი მოგროვდა.

ისამანის ძირთან მყედარი პაწია ჩიტი იდვა.

— ვხედავ! მიუგო ვაჟმა...

ასულს ვარდის თაიგული გამოართვა, დაშალა და ჩიტის დააფარა.

-- საუცხოო აზრია! სთქვა ასულმა და მადლობის ნიშნალ ლრმა, ცისფერი თვალები ვაჟს მიაპყრა..

ՇԱՌԵՑԸ ՀՐԱՅԻՆ.

շածրիցունցը ծահօթի; շրմենածուն շամալունանց-
ծելո թշույուս եմուն մեղոյեծա, — ոյշրածո հալունոմա: ծերան
խայերածո, ածրանումո, Ծուրազուն մյուլազեծո, տետրո մյուր-
գեծո, թարմարունոս պալազեծո, — պազունուն մյուր-
գեծո, սուրնելոյեծա, — սուրունո, լոմիունո, անտեթունո տալոյեծո, որ-
կունունո ցամուխմա, — սոխալունու, պարագունոմա, ներարյ-
ծուն մեղոյեծա: —

— պարացատ, — տվյանո պանակնելո սուրպա... դրա
մունուն լա տվյան մեռլուն արժունոմտ — յանձնեծա յրտո ասու-
լու տալունոն պամակնա!...

— մյ մեռլուն յը շեմունուն!..

— զմագլունոմտ... եռմ եբազտ աս իշ, մալալ մամայակս...
ուն մալց հիմո յմարո ցածրեծա, պանակնել սուրպաս մոյ-
լուն հիմշան...

Ե՞-Ե՞! — մալարանցնունո ցուլցրունատ յըօտեց-
ծա ցայու.

Տաշուիս նապալատ — յալուն ցապունունո լոմիունո...

ծրիցունց յըլյաբրո, ցամանուն յալսո. ասյուն մալալ
մամայաբան պայքուն կորունքունուն ուղլոյեծա .. ծրունուն պա-
լեծո, թարմարունոս ելոյեծո, Ծուրազուն մյուրալուն նել-նելա ատրոնքն...

ՀՅԱՑՈՒՆԵՑՈՒՍ ՑԱԽԵՆ.

Թա՛ն սոմքունուն, պարագունոմա լա ներարյեծա թյ-
ունուն գումանունուն. եյցու իշունիշալուն ենուն սամչյան ու-
նեմքըն. զանցեծո մտյունո նամտարո դարբանունունո ույզեն բո-
տյունո, տետրո լա նահունչուն-ցյունո պարմենուն մերաբնեցիտ.
նունացու պայքարունունուն ունունուն ունունուն մունունուն:
հռմ նախցարո աշունունուն հիշեմուն.

სწ ულებას კაცობრიობა არ იცნობდა.
ადამიანები ლალი და ჯანმთელი იყვენ
ღმეროები ხშიათ ადამიანებთან დადიოდენ
მათი სიცილით, ალერსით, კოცნა ლიმილით სივრცე
გაულენთილი იყო
გავიდა ხანი

კაცობრიობა გაიზარდა. შევიწროვდა. ხეხილებმა
ნაყოფიერობას უკლო.

ხორბალი ნახევარს არ ყოფნიდა და დაუწყეს მიწას
დამუშავება.

სახნისმა მშვენიერ მიღორ-ველებს ჯიჯგნა დაუწყო.
ადამიანებს მოუსვენრობა და ზრუნვის ალი სახეზე გა-
დაეკრათ. მათ ყურადღებას ახლა სახნისი იქცევდა.

მაშინ ღმერთებიც ჩაფიქრდენ.

კაცობრიობამ მიწიდეველობა დაკარგა—და გარა-
წყვიტეს თავისი მეუფება მიუწლომელ მაღალ მთაზე გა-
დაეტანათ.

ეს აზრი ყველას მოეწონა.

— რით ავლნიშნოთ ჩვენი დედაშიწაზე ცხოვრება?—
იკითხა ღმერთმა.

— რომ ალინიშნოს ის ლვთაებრივი ცხოვრება, ის
ალერსი და სიხარული ურუანტელი, რომელიც ჩვენ-მიერ
აქ მიღორ ველზე უხვათ იფრქვეოდა, მე მგონია გავაჩი-
ნოთ ნაირ-ნაირი მიღვრის ავავილებიო! — სთქვა სხივმო-
სილმა სიყვარულის ღმერთმა.

ღმერთებს ეს აზრი მოეწონათ და გაჩდა მინდვრის
ყვავილები.

მართლაც, იმ დღიდან, სადაც სახნისი არ გაივლის
იმ მიწაზე მიღვრის ყვავილები ყოველთვის ბლომით გა-
დიშლებიან ხოლმე.

ჯოჯოხეთის მძიმე კარები გაიღო და ეშმაკმა ცოდ-
ვილი ადამიანი შიგ შეუშვა.

— შენი საუკუნო ბინა აქ იქნება! უთხრა ეშმაკმა
ადამიანს და თვითონ მთავრისკენ გაემართა.

ადამიანი მარტო დარჩა.

გაიხედ გამოიხედა და დაინახა, რომ არე-მარე გო-
გირდის ცეცხლით იყო განათებული, გახურებულ რეი-
ნის ორმოებიდან ადამიანებს თავი ამოეყოთ და საცოდა-
ვათ ღრიალებდენ.

ხანდახან სივრცეში ისეთი საშინელი ზუზუნი გაის-
მოდა, რომ ადამიანი დაფრთხა.

ამ ღრის მან ერთ ქალს თვალი მოკრა. დააკვირდა...

ქალი მისი სატრფო აღმოჩნდა.

ადამიანი შეშლილივით მისკენ გაემართა და გადაე-
ხვია.

ცეცხლის ალი ორივეს სწვავდა, მაგრამ ტანჯვას არ
გრძნობდენ. პირიქით მჭიდროთ გადახვეული, ერთმანე-
თის თვალების ცეცხლში უზომო ნეტარებას კრეფდენ...

ამ ღრის გამოჩნდა ჯოჯოხეთისა მთავარი სასტიკი
ბელზებელი.

— ადამიანი სად არის? — იყითხა მთავარმა.

— აქ არის! — სთქვა ეშმაკმა და როცა ადამიანი
თავის ადგილს ვერ დაინახა, გაოცდა.

— ამას რას ვხედავ? აგერ ვიღაც ქალს ეხვევა! —
სთქვა ბელზებელმა.

— ალბათ მისი სატრფოა —ჩემათ სთქვა ეშმაკმა.

— შემდეგისათვის ეცადეთ, რომ შეყვარებულები
ერთმანეთს არ შეხვდენ, თორემ როგორც ვატყობ ისინი ჯო-
ჯოხეთს სამოთხეთ აქცევენ! ბრძანა ჯოჯოხეთის მთავარმა.
ეშმაკმა თანხმობის ნიშნათ თავი დახარა.

ბეჭარაგნეთ შორის იმყოფებოდა ძლევა-მოსილ ფა-
შისათვის გამოგზავნილი ახალგაზდა ასული ჯამილა.

აღმოსავლეთის მზეს საუცხოვოთ შეემჯო მისი გა-
რეგნობა:

თეთრ-აბრეშუმით მოსილი ტანი ნილოსის ნაპირას
მოზარდ ლერწამის უსწორესი ჰქონდა.

თეთრ მარმალილოს სახეზე წარბ-წამწამი ჩინურ შავ-
უერით დახატულს გავდა.

თვალების ნაზი, ოცნების აღმძერელი მისი შუქი,
სიმშვიდე და ქალური მორცხვობა ყველას ხიბლავდა.

სხვათა შორის ჭაბუკი არაბი არალა ხშირად მიაპყ-
რობდა ხოლმე თავის უიმელო თვალებს ჯემილას ტანის
მშენიერ მოხაზულობას.

ამინდი კარგი იდგა და მოგზაურობა მომხიბლავი
ხდებოდა.

მაგრამ დიდია განგება ალლახისა და შეუმცნებელი
მიზანი მისი სურვილისა.

უეცრად საშინელი ქარ-ტეხილი ამოვარდა.

განრისებულმ, სტიქიონმა მთელი ქარავანი ზღვის
ტალღების სათამაშოთ გამხდარ ნაფორს დაამსგავსა.

სამი გძელი დღე უდაბნოში უგზო-უქლოდ იხეტია-
ლეს. მოქარავნენა ერთიანად მოიქანცენ.

მათ თვალის ელანდებოდა სიკვდილის საზარელი
სახე და მათ უურებს ესმოდათ მისა ჩონჩხის შიშის მომგვ-
რელი ჩილუნგი ჩაჩნდნი.

სამი დღე მათ ტუჩებს წყალი არ მიჰკარებოდა.

სასოწარვეთილებამდე მისულმა წინაშძლოლმა მაშინ
არაბთ მიმართა: „სიკვდილი ისე დაგვიახლოვდა, რომ
მის ძვლებს ჩენი ქუთუთო ეხება, ჩვენ მეტი ძალა აღარ
შეგწევს. ერთად შევგრძეთ, უკანასკნელად ავამოძრა-

თო ბაგერი სადილებელად სირიის თაფლზე უტკბილეს ჰალლახისა და განვეგმზაღოთ სასიკვდილოთ. უკელა შუბლზე დაეცა.

სწორეთ ამ დროს წამოიწია ჯემილამ. მისი თვალები აინთო იმ ცეცხლით, რომლითაც მდიდარნი არიან ხალხთა წინამძღოლნი.

— ძმებო, იმედს ნუ დავკარგავთ! სანამ ძალა შეგვწევს წინ გაუსწიოთ, ვინ იცის, იქნებ საღმე, აქვე ახლოს, კოხტათ აბიბინებული ოაზისი იმყოფება! მაშ წინ, და თუ მოკვდებით, დაე სიკვდილმა საუკეთესო ცხოვრების ძიებაში მაინც მოგვასტონს.

კბილების ლრენა და თითების უიმედო მტვრევა მიიღო ქალმა პასუხად.

მხოლოდ ერთმა, მარტო ერთმა არალამ ჯემილას იმედიანის ლიმილით შეხედა, წამოდგა, ასულის წერწერ ტანს ხელი შემოავლო და ორივე ჩქარის ნაბიჯით ბურუსით მოსილ სივრცეში მიიმაღწენ...

ო ც ნ ე ბ ა.

ტყის პირათ, მუხის ძირის მტრის ბანაკიდან გამთქუეული ჭაბუკი მიწოლილიყ; ძალიან ეჭინოდა, მისი გამოპარეა მტრეს არ შეემჩნია და არ დადევნებოლენ.

იცოდა ისეც, რომ, კიდევ რამდენისამე საათის გზა, და იგი თავისიანებს დაუპრუნდებოდა, მაგრამ დაქანცულობა თანდათან იპყრობდა, იმონავებდა.

თავჩაქინდრული, მიბნედილი თვალებით ჭრილობისაგან დაუძლეურებულ ტანს მოწყენით დაცქეროდა. და ხანდახან ლამაზი ტუჩებიდან მწარე ოხვრა წამოსკდებოდა. დრო გადიოდა.

მტრის ბანაკიდან ხშირათ მოისმოდა ზარბაზნის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ჭაბუკმა წამოდგომა დაპირა, მაგრამ

დაუძლურებული ტანი სურვილს არ ეშორჩილებოდა, ისევ ხეს
მიაწვა, თვალები დახოჭა და ოცნების შხარეს გადაფრინდა.

სხვადასხვა ლამაზი სურათი მაისის პეპელასავით და-
და ფრთას მის გონიერაში. გამოვიყომ ნდებოდა, დაფრინი-
ლებდა და ტებილი ნექტარით ათრობდა. უკიბათ მოაგონ-
და, ერთს მთვარიან ლამის, მოლულუნე წყლის პირას ერთ
ლამაზ ქალი, იმ ქალს, რომელსაც აღმიროებდა, უოლოს-
ფერი ტუჩებიდან სანეტარო კოკნა მოწყვიტა..

ამ წუთში, ამ მოგონებამ მასზე უცნაური, გავლენა
იქნია ფიქრთა უთავდარიგო გროვაში ეს სურათი ლამა-
ზი ქალისა, მისი წერწეტი ტანი, სახის ნაზი მოყვანილო-
ბა, ზავი თვალების გრძნობის ამრვევი ცეკვლი, უცნაუ-
რათ ნათელი, მკაფიო შეიქმნა — წინ, გავწიოთ წინ! —
ეჩურჩულებოდა დილის როერაჟის მსგავსი ლანდი ფერადი
ოცნების სამეფოდან.

ჭაბუკი სიმთვრალემ აიტაცა, იმ სიმთვრალემ, რო-
მელიც მუდმივი თანამგზავრია ლეგრატებისა და აქ კი შემო-
ქმედების ცეკვლის ალთ გატაცებალთა.

როგორც მზის თფილი სხივი ცვრის მრავალფეროვან
ტანადობას აქარწყლებს, ისე გაანადგურა ამ ოცნებამ ყმა-
წვეილის უძლურობა და დალლილობა. იგი მოვრალივით
წამოდგა, თვალები გაუცოცხლდა და გზას დაადგა.

ფერადი ოცნების უსხეული ნაკალით მოსილი მშვე-
ნიერი სანახაობა მას სულ წინ მიუძლოდა...

და ჭაბუკიც დანიშნულ მიზანს თანდათან უახლოვ-
დებოლა...

008 ფერ თვალებიანი გოჭუალების და.

როდესაც ირაქლი მალაძე გონს მოვიდა, იგრძნო,
რომ იგი თვალს ძლიერ აღებდა.

განსაკუთრებით ტკიოდა მარჯვენა თვალი, რომელ-
საც სქელი სისხლი მისწოლოდა და მიმაგრებოდა.

წამოდგომა რომ დააპირა, გალახული ტანი ნებას
არ ემორჩილებოდა.

მაშინ მას მოუნდა გაეგო, თუ სად იყო დაჭრილი.
ხელები გაანძრია—მოქმედებდენ.

ფეხები აამოქმედა—უვნებელი ქონდა.

მხოლოდ შემდეგ იკრძნო, რომ მას ტყვია მარჯვე-
ნა ბეჭში ქონდა.

იგი წამოიწია, რომ არე-მარე დაეთვალიერებია.
დილა იყო.

ზამთრის ცივი დილა, მოლრუბლული, შავი ბურუ-
სით მოსილი.

მიდამო თხელი თოვლით იყო დაფარული.

მის გარშემო მოკლულთა გვამები ეყარა.

თავი ისევ ძირს დაუშვა.

მას გაახსენდა, რომ გუშინ ბრძოლაში მიიღო მონა-
წილეობა...

ბრძოლა სასტრიკი და საშინელი იყო... რკინების
რაჩხა-რუჩხის... კივილი, კენესა...

გააფთოებული სახეები... ახსოვდა, რომ იგი ერთ
დროს შუბს მაგრად და კარგად ხმარობდა...

ეხლა საშინელი ტკივილს გრძნობდა.

თავი უხურდა. ციოლდა, წყურვილი ახრჩობდა.

წამოწევა დააპირა, მაკრამ თავის ნაცელათ თითქო
ას-ფუთიანი რგვალი რკინა ება.

ბედს, რომელიც ომში დიდს როლს თამაშობს, მიან-
დო თავისი დამსხვრეული იმედი.

ცოტა ხნის შემდეგ შორიდან საუბარი შემოესმა.

— მოდიან... მომეშველებიან... არა მიშაეს რა... გაი-
ფიქრა მან და თვალები დახუჭა.

საუბარი ძალინ უახლოვდებოდა, მაშინ თვალები
გააღო.

მას თაფზე გერმანელები ადგენ.

მათ დანახვაზე ირაკლი შიშმა აიტანა და თავი მოიმკვდარუნა. ერთმა გერმანელმა დაიწია და მას ბარძყში რაღაც ნემსივით წვეტიანი რკინა ჩხელიტა. ამას ირაკლიმ კვნესით პასუხი გასცა.

იგი საჩქაროთ წამოაწვინეს, ჭრილობა გაუწმინდეს, შეუხვიერეს, საკუთხევი დააწვინეს.

დასუსტებულმა სხეულმა ამდენ მოძრაობას ვერ გაუძლო და მას გული წაუვიდა.

როდესაც გონს მოვიდა, იგი საკუთარ თვალებს არ უჯერიდა.

ლოგინზე რბილათ იწვა.

ტანზე თეთრი საცვალი ეცვა.

წინ ახალგაზრდა მოწყალების და უჯდა და წიგნს კითხულობდა.

ირაკლიმ დაიკვნესა.

მოწყალე დამ წიგნი საჩქაროთ განით გადასდო და შუბლზე ხელი გადაუსვა.

-- ზაი რუიპ! ბიტე, ზაი რუიპ! — უთხრა ასულმა ირაკლის.

ირაკლი მიხვდა, რომ გერმანელების ლაზარეთში იწვა.

მოწყალების დას გრძელი, ოქროს ფერი თმა საღათ ქონდა მივარცხნილი. თეთრ სახეზე და წარბებ ზუა სიმშვიდე გამოისახებოდა.

ორი იის ფერი თვალები ამ გამომეტყველებას აორ-კეცებდენ მით, რომ სათნოებას აძლევდენ.

მოწყალების და ირაკლის თავგამოდებით უვლიდა: სიცხეს უზომავდა, დასამშვიდებელ წვეოებს აწვდიდა.

— თუ ასე მომიარა ამ ცხონებულის შეილმა, ეგებ არ მოვკვდე — ფიქრობდა ირაკლი და თვალებით ცდილობდა მისი კეთილის მყოფელისათვის მადლობა გამოეხატა.

ირაკლის ასეთი ყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ერთს დღეს გან შეამჩნია, რომ მოწყალების დას სახეზე
მწუხარების ლრუბელი შემოწოლოდა.

მოელი დღე დარბოდა, ბარგაბს ალაგებდა და თუ
მასთან მოირჩენდა, მხოლოდ რამდენიმე წუთით.

— რა დავკაშვე რა დაბეჭართა — ფიქრობდა ირაკლი.

შუა დღე იქნებოდა, როდესაც ოთახში უფროსი აქი-
მი შემოვიდა.

— შნელ! შნელ! გაიძახოდა იგი ალელვებული ხმით.

მოწყალების დები ოთახებში დაიშალენ, რომ თა-
ვიანთი აეათმყოფებისათვის უკანასკნელათ მიეხიდათ.

ირაკლის სროლის ხმა შემოესმა და ახლა ყველა-
ფერს მიხედა, რუსები ამ ადგილს აწევებოდენ და გერმა-
ნელები გარბოდენ.

როდესაც მოწყალების და მასთან მივიდა და ჭიქით
რძეში დალბობილი პური წინ დაუდვა ირაკლიმ მას ხე-
ლი დაუტირა, პირზე მიიდვა და აკრცა მადლობის ნიშანათ.

მოწყალების და ოთახიდან საჩქაროთ გავიდა.

ირაკლიმ აიწია, რომ მაგიდაზე მოწყალების დის
ოქროს პატარა საათი დაინახა.

შას უცბათ გაახსენდა, რომ მოწყალების დას ეგ საა-
თი ძალიან უყვარდა.

როდესაც მიმოიხედა გარშემო, მხოლოთ მძიმეთ და-
კრილები იწვენ.

მე თითონ წამოედგები... კარებთან მივალ, დაუძა-
ხებ და ნიეთს დაუბრუნებ — გაიფიქრა მან.

საათს ხელი დაავლო, წამოიწია და კარებისაკენ
გაემართა.

კრილობის ყიჯინამ მისი სურვილის ნაზი ხმები უც-
ბათ ჩაქოლა, მას ისეთი სისუსტე მოერია, რომ აქვითინ-
და და შუა ოთახში ჩაიკეცა.

სალამო იყო.

ბალში აუარებელი ხალხი იჩეოდა. რაღგანაც ახლო
ნაცნობებს ვერ შევხვდი, რამდენიმე ხნის სეირნობის შემ-
დევ, მოწყვენილობისაგან დევნილმა, შინ წასულა დავაპირე.

სწორეთ ამ დროს მომიახლოვდა ერთი ქალი.

თუმცა ცოტა ბნელოდა. მაგრამ ქალი ვიცანი.

— შინ მიბრძანდებოდით? — დამეკითხა ქალი ცოტა
ალელვებული ხმით.

— დიახ — მიუვე.

— არ შეიძლება ცოტა ხნით შეგაჩეროთ?..

— დიდი სიმოვნებით...

— ერთი უხერხულობიდან უნდა გამომიყვანოთ...
იმედია, როგორც ინტელიგენტი, თქვენ ამის ახსნას არ
მომთხოვთ... ეს ჩემივის მწარე განცდა იქნებოდა... მთე-
ლი ლამე არ მეძინა. საჭმე არ იცდის... გადავწყვიტე საჩ-
ქაროთ მენახეთ... გულახდილათ მითხარით, წინააღმდეგი
ხომ არ იქნებით?..

— აბა რას ბძანებო... თქვენთვის არაფერს დავი-
ზარებ...

— მაშ აი რას გეტყვით... ლმერთო ჩემო... მე თქვენ
გალმერთებთ... თქვენ ისეთი თავაზიანი ბძანდებით .. აი,
რისოვის მსურს შეგაწუხოთ... ამ დღეებში ჩემი ქმარი
შეგხვდებათ და სადაფის ჯაყვას გადმოგცემთ... თქვენ არ
დაიბნეთ... თქვენ თავი ისე დაიჭირეთ, თიოქოს ეს ჯაყვა
თქვენ გეკუთნისთ...

თქვენ უთხარით, ვითომ პარასკევ ლამეს ჩემთან იყა-
ვით და იქ დაგავიწყდეთ ..

ეს ჯაყვა ერთს ვიღაცას დარჩა ჩემთან...

მე ეს მაშინ არ შემიმჩნევია... როდესაც ქმარი დაბ-
რუნდა, ჯაყვა ნახა და უცრბათ მკითხა:

— ეს ჯაყება ვისია?

მე უეცრათ თქვენ დაგასახელეთ და უთხარი, რომ
თქვენ იყავით ჩემთან.

ვიცოდი, რომ ეს მას არც გაუკვირდებოდა და არც
ეწყინებოდა.

მაშ ამ სამსახურს ხომ გამიტევთ?

— რასაკეირელია...

— ოღონდ ის არ დაგავიწყდესთ, რომ ეს პარასკევ
ღამეს მოხდა...

ქალი მეტათ აღლებული გამშორდა.

მართლაც, ორი დღის შემდეგ იმ ქალის ქმარი
შემხედა...

ქალის დავალება პირნათლათ შევასრულე.

ლ ა მ ა ზ ი ც ი ლ ი.

უხალისო, ერთფეროვანი ცხოვრება მიმდინარეობდა
იმ ჯარის ნაწილში, რომლის უფროსი მე ვიყავი — დაიწ-
ყო პორუჩიქმა ლევან ფორაშვილმა.

დილიდან-სალამომდე და კვირიდან-კვირამდე თხრი-
ლებში ვიყავით ჩაფლული.

ჩემი ოთახი, მიწის ქვეშ, გვარიანათ იყო მორთული,
მაგრამ სალდათებს ნიადაგის სისოვლე მეტათ აწუხებდა.
ერთ დღეს მზეერავთა კაბანდამ ათი ავსტრიელი მოიყვანა.

ამ მოვლენამ ჯარში ცოტა სიცხოველე და ხალისი
შემოიტანა.

სალდათები ახლად მოყვანილ ტყეებს შემოხვევო-
დენ და ენის უცოდინარობის გამო ხშირათ მათი საუბა-
რი სიცილით შეიცვლებოდა ხოლმე.

იმ დროს რეინის-გზებს შათ გადასაყვანათ არ ცალკედათ და აქსტრიელები რამდენიმე დღით ჩვენთან დავტოვეთ.

რადგანაც გერმანული ენა ცოტა მესმოდა, მეც ხშირათ ვეწვევოდი მათ.

ჩემშიერ დაშტული კითხვები ყოველთვის უბრალო ცნობის მოყვარეობას არ სცილდებოდა, გამოკითხვის ელფერი არ ქონდა, ამასათვის მათი ნდობა მალე მოვიძოვე.

მხოლოდ ერთი ტყვე მუდამ განმარტოებით იდგა და ჩვენს საუბარში მონაწილეობას არ იღებდა.

მასთან საუბარი ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ ვერას გავხდი, მასთან დაახლოვება ვერ შევძელი.

ერთ დღეს იგი გადაჭრილ ხეზე იჯდა და ფიქრში იყო გართული. მიუხსლოვდი. ბეჭედ ხელი დაგკარი. ჩემ დანახვაზე ადგილიდან წამოიჭრა, შემდეგ ერთი გაიხედამოიხედა, უბიდან პორტრეტი ამოილო და მითხრა.

ზი ისტ მაინე ფრაუ!

სურათი ხელში ავიღე და დავხედე.

მიყვარს ლამაზი ქალები. მათი საზოგადოება, მათან საუბარი და მათი სახის დამახსოვრება. ჩემს მეხსიერებაში ბევრი ლამაზი სახეებია აღმეჭდილი: ზოგის ხმის ტეშბრი, ზოგის სიცილი, წერიალა ლამაზი სიცილი, ზოგის წარბები მოძრაობა, მაგრამ ამ სურათმა უცბათ დამამტკვეთა, მომაჯადოვა.

ქალს მშვენიერი გარეგნობა ქონდა, იგი როიალთან ჩაფიქრებული იდგა.

ფართო, ოცნების სამეფოში გადაფრენილი, თეალები, ხორცის თეთრი კანი, ლამაზი ცხვირი, რგვალი ნიკაპი, ბროლის ქბილებზე დაწყობილი ნაზად გახსლები-

ლი ბაგეები, პატარა ყურები და თვის ფერ ლენ ზით ში-
მაგრებული, მარჯვით მიკარჯხნილი წაპლის ფერი თმა
მას იმ რიგათ ხატავდა, აცხოველებდა. რომ იტყოდი:
-ხელს არ შეუშლი, და უცნების სამეფოში დარჩეს, ინა-
ვარდოსო.

— რა მშენიერი ცოლი ყოლია ამ ბედნიერს — გა-
ვიფიქრე და ამ კაცისადმი უეცრათ უზომი პატივისცემა
ვიგრძენი.

ავს არიელმა ჩემი ალტაცება შეამჩნია და მითხა:

— ეგ ქლი სამ წელიწადს მიყვარდა. ცხოვრება ჩემს
ბედს დიდხანს ეწინააღმდევა, მაგრამ ბოლოს ყოვლად
ძლიერმა სიყვარულმა გაიმარჯვა, მაგრამ სულ რამდენი-
მე კვირა გველირსა ერთმანეთის შეერთ ნეტარება. და-
იწყო ომი.

მეც ომის ფერხულში ჩავები და ვინ იცის, აწი რო-
დის ველირსბი მის ნახვას... სთქვა ავსტრიელმა და თვა-
ლები აუცრიმლიანდა.

უცბათ მჭერმეტყველების სიძლიერე ვიგრძენი, ავსტ-
რიელი დავანუგეშე, ხელი მეგობრულად დავავლე და ბი-
ნაში წამოვიყვანე. მარტო ერთი ბოთლი კახური გამაჩნ-
და და როდესაც დალოცვილ ქვაყნის ვაზის წვენი დავი-
ნახე. ავსტრიელს ნება გამოვთხოვე, მისი ლამაზი ცოლის
საღლენგრძოლო დამერია

— ზერ გუტ! ზი ზინდ ზერ ლიბენსეიურდიპ! — მო-
მიგო მან და გამხიარულდა.

სურათი ამოილო, დახედა, ჰაერი მძიმეთ ჩასუნთქა
და მოწყენილი თვალები ფიქრებით აექსო.

ამის შემდეგ ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით.

მას ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს ვცემდი.

გამოთხვების დღეს მოწყენილობა დაეტყო.

ჩემი მოშორება ენალვლებოდა.

წასელისას შემეხვეწა:

— ყაზახებს ნუ გამაყოლებთო...

თხოვნა ა. უსრულე.

დრომ ვერაფერი გააწყო და დიდხანს კიდევ, როდე-
საც ოთახში მაგიდას მარტო მიუჯდებოდი, ხშირად
თვალშინ ავსტრიელი ქალის ლამაზი სახე წარმომიდგებო-
და ხოლმე და იმ წუჟის ჩემი განწყობილების მიხედვით
იგი მაწუხებდა, მანუგეშებდა, მათრობდა და მახალისებდა.



¶ ღ პ ა ზ ე.

კეკლუცი და ცელქი მარო, ცოლი მდიდარი მემამუ-
ლისა, საყვარელ ნესტორთან ერთად, ზლვის პირად მდე-
ბარე, საკუთარ მამულში დასეირნობდა საღამო იყო. მზის
სხივები მიდამოს ოქროს ფერად რთავდენ. ზლვაზე ისეთი
სიმშეიდვე სუფევდა, რომ მის ზედაპირზე აღამიანი იას
ოდენა ტალღასაც კი შეამჩნევდა.

როდესაც შეყვარებულებმა იმ ადგილას მიაღწიეს,
სადაც მაროს ქშარძა ფიცრის ორი პატარა სახლი ააგე-
ბია, ცურვის ზედმიწევნით მცოდნე მარო ნესტორს მიუ-
ბრუნდა.

— ჩემი ქმარი ამ საღამოს შინ არ მოვა, მოღი ტა-
ნი დავიბანოთ.

— კი, მაგრამ, მე რო ცურვა არ ვიცი — მიუგო ნეს-
ტორმა.

— ეგ არაფერია, ჩვენ რეზინის საცურავი რგოლი
გვაქვს, ამას წელზე გაგრკეოებთ და შეიძლებ თაეს წყალში
თევზივი: იგრძნობ — უპასუხა ჭალმა.

სიყვარული მხოლოდ მაშინ არის წარმტაცი როცა
მას ერთფეროვნებაში არ ამყოფებენ, სიყვარულს უყვარს
ფანტაზია და ამიტომ თრივებ გადასწყვიტა ტანი დაებანათ.

მარო და ნესტორი პატარა სახლში შევიდენ.

ცოტა ხნის შემდეგ საბანაო ტანისამოსში გამოწყობილი მარო გამოვიდა.

მას ნესტორი მოყვა.

მარომ საყვარელს საცურავი რგოლი თავის ხელით შეუბნია და ორივე წყალში შეცურდენ.

ნესტორი ჯერ დაფრთხა, შემდეგ მაროს დანებდა და მას ცურვით გაყვა.

თვითი წყალი ტანს ეგრე ეალერსებოდა, როგორც ძველი კახური ლვინო ყელს.

გარო ხან წყალში ჩაიყურყუმალებდა, ხან ხელოვნურათ შექნილ ტალღებს ზურგით დააწვებოდა.

ორივე ერთმანეთის, ნახევრად ტიტველ, ტანის წყალში ნავარდის მშერით სტკებოდენ.

ანაზღათ, მარომ ნაპირისკენ გაიხედა, რომ შორს, მომავალ ეტლს თვალი მოკრა. ამს დანახვაზე მაროს თვალები გაუფართოვდენ, სახე გაუფითრდა.

— ღმერთო! დაიძახა მან, — ეგ ნამდვილად ჩემი ქმარია, ალბათ შინ მოსულა და ახლა ჩემთან მოდის...

— უშეელოთ თავს, აჩქარებით სთქვა ნესტორმა, ლონე მოიქრიბა და სწრაფი ცურვით ნაპირისაკენ გაემართა.

ჩქარა, ჩქარა, შემდეგ პატარა სახლში დაიმალები, ეწურჩულებოდა მარო ნესტორს და შეძლებისამებრ ეხმარებოდა.

ეტლი თან და თან ახლოვდებოდა, ნაპირი კი ჯერ შორს იყო. მარო შიშხა მოიკვი. მას წარმოუდგა თავისი ქმარი, მისი სასტიკი, შეურიგებელი შემოხედვა, გაახსენდა მისგან ერთჯერ თქმული სიტყვები: „ყველაფერს გაპატიებ, გარდა ლალატისა“, წინ გადაეშალა ის ფუფუნება, სიმდიდრე რომელიც მას თავისი ქმრის წყალობით ჭონდა, ახლა ეს ცველაფერი ეკარგებოდა, ხელიდან ეცლებოდა ვისთვის?

— ნესტორისათვის. რომელსაც გარდა მაგარი მკლა-
ვისა და გრძნობიერი ტუჩებისა არა გააჩნდა რა!..

და ამ წუთს, მასში გაიღვიძა ქალმა მთელი თავისი
მაცდური ბუნებით.

მას სახე შეეცვალა. თვალები ცეცხლივით აენთო-
იგი ნესტორთან ახლო მისურდა, შემდეგ ხელი ბაწარს
დაავლო, იმ ბაწარს რომელც ხსნიდა სარტყლის მიმამა-
გრებელ კვანძს და მოსწია!

ქამარი ნელა დაიშალა.

— დავილუპე! ძლივს მოასწრო ნესტორმა და ზღვის
სიღრმეშ, ჩაინდეთ.

კეკლუკმა მარომ ეს რომ დაინახა, სწორი ტანი წყალ-
ში უფრო მოხენილათ გამართა მაგარი, მხარული დაჰკრა
და ნაპირისკენ გაემართა.

გთხოვთ მტერი გააპრაზოთ...

ახალგაზრდა ოფიცერი ანტონ გერაშეილი მიწაში
ნახევრათ ჩაფლულ ოთახში მაგიდას უჯდა.

დიდი ხანი ა. იყო, რაც იგი შინიდან ბრძოლის
ველზე დაბრუნდა.

შინ ანტონმა ავათმყოფი ცოლი დატოვა, ეს კი მას
სულს უწუხებდა და გულს ულრინდა. იგი მუდამ ჩაფიქ-
რებული დადიოდა და ოცნებით იგონებდა იმ საყვარელ
არსებას, რომელიც მას სინამდვილემ დააშორა:

მთელი თავისი ხან მოქლე ცხოვრება ახალგაზრდა
ცოლთან მას სიზმარივით ეწევნებოდა.

ახალგაზრდა ასულმა ნინომ თავისი ნაზი გარეგნობით,
მოქცევით ჭაბუკის გულზე ისეთი ღრმა დალი დატოვა,

რომ ანტონი, როცა მათ შორის შექნილ გარემოებას ჩაუკვირდა, ასულს ოფრო დაუახლოვდა, გაეცნ და ბოლოს ჯვარი დაიწერა

მათი რენარი, მშვიდი კხოვრება დიდ ხანს გავრძელ-დებოდა მაგრამ კაცთა სიძულეების გამო ჯერ მკვიდრათ ტახტზე მჯდომარი მოის ღმერთმა საყვირით მსოფლიოს გადასძახა, რომ ხანგრძლივი სიმშვიდის შემდეგ იწყებოდა სიკვდილის, სისხლის და ცეცხლის აყვავების ხანა. ანტონ-მა ოჯახი დასტოვა და ბრძოლის ველისკენ გაემართა

როგორც სხვა ბევრი, იგიც ორის გათავებას მალე მოელოდა, მაგრამ მოსტუუვდა მოუხედავათ სასტიკი დის-ცუპლინისა, მან ორჯერ მოახერხა შინ გამგზავრება.

პირველათ როცა ცოლი ნახა, მას გულში შეზი დაე-ბადა, ავათმყოფობა გაძლიერებოდა და ამით მისი მდგო-მარეობა საშიში ხდებოდა როცა მაშინ, გამოთხოვების დროს, ცოლს მიუახლოვდა, ქალმა ტირილი დაიწყო, ხე-ლი მაგრათ შემოხვია და არ უშვებდა.

მაგრამ როცა მეორეჯერ მოუხდა შინ მისულა, ნინო იმდენათ სუსტი იყო, რომ გამოთხოვების წამს მას ნე-ლის ხმით უთხრა: „ნუ გეშინია, მე არაფერი მიშაგს, შენ თაეს მოუარე, არ გაციცლე... ჩემშე ფიქრი ნუ გაქვს... მოერჩები, დამერწმუნე, რომ მოვრჩები... და მას თვალებ-ზე ცურმლი მოადგა. გულმოკლული ანტონი ბრძოლის ველზე გამობრუნდა, აქ იგი შინიდან მოსული წერილებით ცხოვობდა.

მთელი ერთი კვირა გადიოდა, რაც მას წერილი არ მიუღია. მან ხელჭეებით სალდათი მახლობელ სამხედრო ფოშტაში გაგზავნა და თითონ შინიდან მოსული ამბების მოლოდინში მაგიდას ღრმაო ჩაფიქრებული უჯდა.

ძალიან გვიან სალდათი დაბრუნდა.

აკანკალებული ხელებით მან წერილები გადასინჯა, მაგრამ ნაცნობი ხელი არსად ნახა.

შინიდან გამოგზავნილი წერილი გახსნა. დედა სწერ-და, რომ ნინო საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შეილს ანუკეშებდა.

ამის წაკითხვაზე ანუონშა თმებში ხელი იტაცა და ოთახში გიურიოთ სიარული დაიწყო.

— წავალ.. ისევ შინ წავალ.. შეუძლებელია ჩემი აქ დარჩენა... ჩემს მდგომარეობაში ჸევლენ, გამიშობენ... ღმერთო, იმას, რომ რამე დაემართოს, ხომ დაიშესხრა ჩემი ცხოვრების იდეალი...

შემდეგ იგი მაგიდას მიუახლოვდა და დეპეში დას-წერა: ვიცი, რაც მოხთა, ნუ მიმალავთ, დაწვრილებით მაცნობეთ... მან არაფერი იცოდა, მაგრამ ძარლვებმა მას რაღაცა შეში უკარნახა და ისე დასწერა.

მთელი ლამე თვალები არ დაუხუჭავს.

მეორე დღეს პასუხი არ მოსვლია.

მესამე დღეს დილით დეპეში მოუვიდა. მისი შეში გამართლდა.

ის, ვისაც მთელი თავისი ჭაბუკური ალტაცება შეს-წირა, ამ ქვეყნათ არ არსებობდა.

ლოგიზმე თავგბრუდასხმულიყით დაეშვა და ჩა-ფიქრდა.

მწუხარებამ თანდათან გამოიჩინა თავისი ძლიერება.

მან ტირილი დაიწყო, ჯერ ჩუმათ, შემდეგ ხმა მა-ლლა აქციანიდა.

ნუგეში სადღაც მიიმალა.

გავიდა დრო.

იგი წიმოდგა, სამგზავრო სკივრი გახსნა, ცოლის სურათი ამოილო და წინ დაიდგა.

— ნინო! დაიძახა მან და ცრემლებმა თვალებიდან უხვათ დაიწყეს დენა.

რა ვქნა აწი? სად წაეიდგე? ჩემი სიცოცხლე დამ-

სხვრეულია, მე აწი არასდროს ის ადამიანი არ ვიქნები, რაც ვიყავი.

მშეიღობით ჩემო იმედებო. ჩემო ლაუგარდოვანო მომავალო .. გადაწყვეტილია, თავს მოვიკლავ... მოთქვამდა ანტონი.

გარემოება თითქოს ხელს უწყობდა: ბნელი, ცივი მიშის ქვეშ ჩაფლული ოთახი... უმეგობროთ.. გარეთ სიცივე. სუსი, თოვლი, ზარბაზნების გრიალი, თოლების სროლა... მოწყვენა, სისხლი, სიკედილის უსირცხვო, ნილაბ ახდილი თარეში... შინ საყვარელი არსება თვალებ-დახუჭული, ლოყებ ჩავარდნილი გაციებული ტუჩებით და გულზე დაკრეფილი სანთლის ფერი ხელებით...

— დიახ გადაწყვეტილია, თავს მოვიკლავ.. სთქვა მან და ჩაფიქრდა.

მაგრამ რა დროს? ზამთარია, სიცივე.. უცბათ გაიღია, გაახსენდა თბახუჭუჭა, ახალგაზდა უიმედოთ შეცვარებული, მგოსნური შემოქმედებით ატანილი ვერტერი.. ის ხომ ესთეტი იყო, მაგრამ როცა შარლოტასთან ბედმა დააშორა და ამ უიმედობამ რეალური სახე მიიღო, მან ზამთარში... როცა დიდი თოვლი იყო, დამბაჩა აიღო, აიისე, როგორც მე შემიძლია ახლა რევოლვერი ამოვილო და შუბლზე მიიდეა — ამ ფიქრის დროს მან ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და შუბლზე მიიდეა .. დაახ, ვერტერმა ტყვეით თავი გაიხვრიტა... მეც შემიძლია... უცბათ ხელი შეაჩერა. მაგრამ ვერტერის დრო სხვა დრო იყო. ახლა მეოცე საუკუნეში, როდესაც სიყვარულის ნაცვლად მრუშო ბაა, ვინ დაათასებს ჩემს საქციელს — გაიფიქრა მან.

მაგრამ ნუჟუ იგი თავს იმიტომ იკლავს, რომ სხვების სავაჭროთ გახადოს ეგ მისი თავის განჭირვა, რა სასაცილოა ადამიანი მაშინაც კი, როდესაც დიდ დასკვნამ-დე მიდის — გაიფიქრა მან.

— მაშ რას აპირებ ახლა? დაეკითხა თავის-თავს...
რა ვიცი... ვნახოთ... მიუგო პირველ შეკითხვას.
ანტონმა კარი ნელა გააღო და სალდათს დაუძახ. — იცი რა გითხჩა... ნინო, ჩემი ცოლი მომქვდარა...
— ქალბატონი გარდაიცვალა?! გაოცებით იკითხა
სალდათმა...

— გეწყინა?

— აბა რას ბრძანებთ, თქვენო მაღალქეთილშობი-
ლებავ, — სთქვა სალდათმა და ცრემლები მოერია.

ანტონმა დეპეში დასწერა, შემდევ სალდათს გა-
დასცა.

— წალი, ეგ დეპეში გაგზავნე და როცა დაბრუნ-
დები, მაგილაზე წერილს ნახავ... ისე მოიქეცი, როგორც
იქ წერია...

— კარგი ბატონი...

— შენ ხომ ჩემი ერთგული ხარ? --

-- კი თქვენო მაღალქეთილშობილებავ...

— მაშ წალი.

სალდათს არ უნდოდა წასვლა უნდოდა რაღაცა
ეთქვა, მაგრამ ანტონმა მას ზურგი შეაქცია.

სალდათი გავიდა.

ანტონი მაგილას მიუჯდა და წერა დაიწყო.

სწერდა ჩქარა, მოუფიქრებლათ. შემდევ მოსახურა-
ვი მხარხე გადიგდო და გარეთ გავიდა.

ჰაერი მძიმე იყო. ცა მოლრუბლული. ბუნება დალე-
რემილი, დამახინჯებული, ველი წყლიანი და თხრილებით
დასერილი. ცოტა გადაუხვია და სალდათების თხრილებ-
ში ჩადიდა.

სალდათებს თოფები ძნასავით გაეჩერებიათ და ის-
ვენებდენ. სმენათ გადაქცეული დარაჯები კი თავისალუ-
ნული დაიარებოდენ.

ანტონმა უფროსი ჯარის კაცი იხმო.

— გთხოვთ მტერი გააბრაზოთ... სროლა დაწყე-
ბით...

— თოფები აიღია. ცეცხლი! გაისმა ხმა.

სალდათებმა საჩქაროდ თოფებს ხელი დაავლეს და
სროლა დაიწყეს.

მტერმა ჯერ პასუხი არ გასცა, მაგრამ როცა ცეცხ-
ლი გახურდა, დაფრთხა, იფრერა, იერიშით მოსელას ხმ
არ აპირებენ და პისუხი გასცა.

როცა ტყვიებმა უთავმოლოთ ზუზუნი დაიწყეს,
აქმდი გაშეშებული ანტონ ადგილიდან დაიძრა და თხრი-
ლებიდან ამოიწია, ახლო მყოფმა სალდათებმა ეს შეამ-
ჩნიეს და გააფრთხილეს:

— თქვენმ მაღალეოთილშობილებავ... საშიშ ადგილ-
ზე ბრძანდებით .. დაიწიეთ...

— მართლა, სულ დამაუწყდა — წარმოსთქვა მან და
დაწევის ნაცვლად მთელი ტანით აიწია.

ერთი წუთი .

მოჭრილი ლერწამივით თხრილში უსულოთ ჩაეშვა.

*



ლ ე ი ლ ა ს ხ ა ლ ი ჩ ა .

(ი. გრიშაშვილს).

სპარსეთის ხანს სოლეიმანს ჰყავდა ასული ლეილა.
მის სპილოს ძელის ფერ სახეზე წარბ-წამწამი ჩინურ მელ-
ნით დახატული გეგონებოდათ.

ტუჩები ვნების ტკბილ გრძნობათა ლელვას აცის-
კროვნებდა. მისი მცერდ-კისერი ზმანება იყო ხეევნა-კოც-
ნის სიგიურისა; ნილოსის ლერწმის უსწორესი ტანი მთელს

გარეგნობას მთის ლაუვარლისკენ მიაქანებდა; ხმა ტკბილი, მიმზიდველი და მომხიბლავი ბაშბასაცით წყდებოდა მარჯნის ფერ ტუჩეს; ლეილა იყო წარმტაცი ზღაპარი სპარსეთის ჯადოსნურ ბუნების მიერ ბულბულისათვის ნაამბობი.

იზრდებოდა მშევენება უმწიკელოდ და დაუდარდელად. მაგრამ უძიროსა ნება ყოვლად ძლიერი ალლახისა და მიუწდომელი მისგან ადამიანისათვის ნაბოძი ჩვეულების ნაირობა.

როდესაც თოთხმეტმა გაზაფხულმა ლეილას ცხოვრების არშიანებ უდარდელად გადაირბინა, ლეილას ახირებული სურვილი დაებადა: მის ლამაზ თვალებს ძილი მხოლოდ მაშინ მიეკარებოდა, როდეს საწოლ ოთახის კედლები ვარდ-ყვავილებით მოირთებოდა ხოლმე.

ას ორმოც განსწავლულ მებალისათვის ადვილი იყო წლის ყოველ დღეს ლეილის სურვილის შესრულება, მაგრამ ქალის აგებულება ვერ ეგუებოდა სურნელების სიმძაფრეს.

ლეილამ მოიწყინა. მისმა სახემ ბრწყინვალება დაჰკარგა. ვერც ბრძენთა რჩევამ, ვერც სახელგანთქმულ დასტურება ზომებმა ვერაფერი ნაყოფი გამოილეს. მაშინ სულეიმანმა ბრძანება გასცა:

ვინც ლეილა ამ სენისაგან გამიყურნავს, მისთვის თვით ლეილა და ჩემი ავლადიდებაც დამილოცნიათ.

გადიოდა ხანი. მკურნალი არ გამოჩნდა. ერთ დღეს, როდესაც ლეილას მშობლები მოწყენილი ისხდენ, მათ კარის კაცი ეახლა.

— დიდებულო სოლემან, ვიღაც თავს მგოსანს უწიდებს და თქვენი ნახვა სურს. უცნობს ორი ზანგი ახლავს.

— შემოიყვანეთ! გასცა ბრძანება სოლეიმანმა.

— დიდებულო სოლეიმან! გავიგე თქვენი მწუხარება და მოვნახე წამალი, რომელიც თქვენს ასულს განკურნავს.

— ყოვლად ძლიერ ალლახის კურთხევა შენზე იყოს ჩემი შეიღო! სიხარულით წამოიძახა სოლეიმანმა.

— ლიახ, მე მოკერიფე ცველა ფერები, ცველა იმ ყვავილებისა რომლითაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ფერად-ძაფებითა მოვაქარგვინე მათი სახე ისეთი ხელოვნებით, რომ თვით ბუნება მის წინაშე მორცხვად თავს დაჭხის. აი, ეს ქსოვილი—სთქვა მგოსანმა.

ზანგმა კალათიდგან მშვენიერი ნაქსოვი ამოიღო და რომ გადაშალა ამ სანახაობით ცველა მოხიბლული დარჩა.

ხალიჩა! წამოიძახი ბეღნიერმა სოლეიმანმა. მართლაც, ვარდ-ყვავილების სახეები ხელოვან თითებს იმ რიგათ ამოქქოვეათ, რომ გაზაფხულის პეპელა მათ დანახვაზე სა- გოგმანებლათ ლამაზ ფრთხებს ხალისიანად გაშლიდა.

საჩუქარი ლეილას ანახეს.

ლეილა სანახაობით გახცეიფურებული დარჩა.

ამ ხელოვნურ ვარდ-ყვავილის ქსოვილზე ტკბილად და უდარცელათ დაეძინა.

მაღვ დაუბრუნდა ჯანმრთელობა ლეილას. სულეი- განმა დანაპირები აასრულა.

ლეილამაც თავისი გული სიამოვნებით გადაუშალა ტკბილ ჰარგების მოყვარულ მეურნალს.

ამის შემდეგ ცველა ხამდეილად შეყვარებულთათვის ხალიჩა ხვევნა-კოცნის უალრესი სამკაულია!



კალია თუ კაცი?!

მას ცოლი მოუკვდა... ადამიანი, რომელსაც აღმერ- თებდა, ათაყვანებდა, რომლის თვალის გამომეტყველება- შიც სიცოცხლის ხალისს ხედავდა და რომლის ტუჩებზეც სიყვარულის ცვავილებს კრეფდა, ამ საიდუმლო მოელენის შემდეგ გაციდა, გაფიტრდა.

მიცვალებული არ იცდის—სასაფლაოსკენ იყურება.
ვარდებით დატვირთულ კუბოს ნელა მიაქანებს პრო-
ცესია.

ის აღშეფოთებული მიყვება ცხედარს... ტვინი უდულს...
იგონებს პირველ ალერს... იგონებს მისი თვალების
სიცოცხლეს...

ახლა ის კუბოშია—ფიქრობს მწარეთ.

მისი ძარღვები სამართებლის პირზე დახტიან...
თვალმაც უმტკუნა: მისი აზრით ბუნებაც კი გამოცვლი-
ლა .. მას ეჩვენება, თითქოს მთელი სამყარო მას თანაუ-
გრძნობს—და ცრემლი ასკდება.

ქუჩა ვიწროვდება. პროცესია მკარივდება. ამ დროს
მან თვალები ისწია და დაინახა მათ პირისპირ მომავალი
ვიღაც უცნობი, რომელიც ოდნავ შეჩერდა, კუბოსკენ
გულგრილათ გაიხედა და პროცესის ერთ წევრს ცნო-
ბის-მოყვარეობით დაეკითხა: „ქალია თუ კაცი?“.

ვ თ დ ვ ი ლ ი.

ერთხელ უფალს გარს მოციქულნი შემოუსხდენ და
ბჭობა-საუბარი გაიმართა—ქვეყნიერებაზე, კაცობრიობაზე,
სიკედილ-სიცოცხლეზე და ბოლოს სიყვარულსაც მის-
წვდენ.

ამ დროს ცის ლავვარდით მოსილი ანგელოზი გა-
მოჩნდა და პეტრე მოციქული გაიხმო...

— სამოთხის კარებს ადამიანი მოადგა და სამარ-
თალს თხოულობს —უთხრა ანგელოზმა პეტრე მოციქულს.
პეტრემ წასვლა დააპირა, უფალმა ანგელოზს უბძანა აღა-
მიანი მასთან მოეყანათ. მაღალი, ახოვანი, მშვენიერი სა-
ხის აღამიანი წარსდგა უფლის წინაშე.

- - მამცნეთ რა ცოდვა მიუძლეის ამ კაცს?—იყითხა
უფალმა.

პეტრემ სწრაფათ ცხოვრების წიგნი გადაშალა და
სახის ღინჯი გამომეტყველობით წარმოსთქვა:

— ეგ ადამიანი ცოდვილია მით, რომ სიყვარულში
თავდაუმეტერელი იყო და მეცხრე მცნებას არღვევდა.

— თავის გასამართლებელი რა გაქვს? — კითხა უფალ-
მა ცოდვილ ადამიანს.

— არაფერი. ლამაზი ვიყავი, ქალები მეტროლენ
და ამ ტრფობას გიური კოცნით ვახორციელებდი. — უსირ-
ცხოთ თხქვა ცოდვილმა ადამიანმა.

— მაშ შენ ჯოჯოხეთში წახვალ — სთქვა უფალმა.

— ეგ არ მოხთება! — წამოძახა ცოდვილმა.

— უკეთუ რასაც მე ჩაგდიოლი ცოდვაა, მაშინ მეფე
დავითიც უნდა წაწყდეს ვინაიდნ მან ლამაზი ვირსავია
ძალათ მოსტაცა ქმარს და საწყალი ქმარი სარდალს
ომში ისეთ ადგილს დააყენებია, რომ უწყალოთ მოკლეს.
ასეთი ადამიანი ფერადი სილით დაფენილ სამოთხით გზათ
არ უნდა ვლიდეს.

ამ ღრის შორიდან ფარჩა — ძოწეულში გამოწყობი-
ლი მეფე სოლომონი გამოჩნდა. მეფეს თავს საუცხოვ
ქვებით გაბრწყინვებული გვირგვინი ედგა და ხელში ძირ-
ფასი კვერთხი ეჭირა. ამის დანახვაზე ცოდვილი ადამიანი
განციფრდა.

— ღმერთო ჩემო, — ამას რას ეხედავ! მეფე სოლო-
მონიც სამოთხეში ყოფილა, ეგ არ იყო — მარმარილოს
დიდი სასახლე, ხაჭისით, ოქროოთ და ვერცხლით შეამკო,
რომლის გარშემო ვარს-უვავილებით ბალი გააშენა, სადაც
ნახვრათ ტიტველი ქალები გარს ეხვიენ და ქნარის პან-
გების ხმას ქვეშ მის წინ სიწითლის გამოშვევ ცეკვას
უვლიდენ...

— რას არ ამბობენ დედამიწაზე წინასწარმეტყველ
ელისეზე, რომელიც ქალაქ სონოგში ერთ უშვილო ქალ-
თან დაიარებოდა... ამ ქალს ათი წლის განმავლობაში

შეილი არ ყოლია და როცა ელისე იმის სახლის ცალკე
ოთახში მოთავსდა, ქალს გვრიტივით ლამაზი ბაჟში
გაუჩნდა...

— განა ამ სამოთხის სანეტარო მიდამოებში თეთ-
რათ გამოწყობილი ავგუსტინის ხმა არ გაისმის. ახლა
გაისხენეთ ამ წმინდანის სიჭაპუეს,—იგი ლამაზი ქალე-
ბის სურათებს უბით ატარებდა. სამოთხის ოქროს-ფერ
მცენარეებით გაშვენებულ ბალში, უმწიველო ანგელოზთა
გუნდში, უდარდელათ დასეირნობს მარიამ მაგდალინელი,
რომლის მარჯნის ფერ ტუჩებს არა ერთი ყრმა დაკონე-
ბია, რომლის ტანით არა ერთი ვაჟაც გაგიუებულა...

— გაჩერები!—ვერ მოიომინა და შესძახა ცოდვილს
პეტრე მოცეკვება.

— შენც პეტრე... შენც!—დაიწყო ცოდვილმა, მაგ-
რამ პეტრე საჩქაროთ გასცილდა. მხოლოდ მამა კიმოთე
ცოდვილს ადამიანს მიუბრუნდა და ტებილათ მიუგო...

— ეგვინი იმიტომ არიან აქ, რომ ცოდვები მოინა-
ნიეს...

— განა მე კი არ შემეძლო ცოდვის მონანიება?—
უკმაყოფილოთ სთვეა ცოდვილმა.

— მერე რათ არ ისურვე?—სთვეა უფალმა.

— ვერ მოვასწარი. სიკვდილი უხილავათ მეშვია...
მიუგო ცოდვილმა ადამიანნა.

წმ. მ. მეტმა თავი ძირს დახარეს. უფალი სღუმდა.
ცოდვილს კი თავი მალლა ეჭირა.



ახალი ცხოვრებისაკვეთ.

— თქვენ რას მიბანებთ!—მიუბრუნდა მეტრავი ქა-
ლი ერთს მაღალს, ახოვან ახალგაზდა ქალს.

— მე სამგლოვიარო ტანისამოსი მინდა შევიკერო—
დაბალი ხმით მიუგო მოსულმა.

— კეთილი! ჩა ფასონის გნებავთ. ბევრ გვარი კაბე-
ბია. აი, ამ სურათზე ნაჩვენები კაბა ტანს კლავს, არ აჩენს,
ეს კი, პირიქით, გარევნობას უმშევნიერესად გახდის.

— მე მეორე მირჩევნია... ხომ ყელამოლებული იქნე-
ბა... თეთრი ხორცის კანი მაჭვს და კისერი შავ-კაშიმერში
კარგათ გამოჩნდება?

— დახატულივით. თქვენი ტანი საუცხოო მოყვანი-
ლობისაა და ამიტომ შავი ტანისამოსი ერთობ მოგიადე-
ბათ. თმა გაშლილი ხომ არ გექნებათ?

— გამოსვენების დღეს კი... მაგრამ მეშინია დიდმა
თმამ ბეჭები არ დამიმალოს ..

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული: თმას თუ ისე გა-
შლით, რომ ზურგზე, ბეჭებზე და მკერდზე დაგეფინებათ,
მაშინ ტანი დაბალი გამოლის; თუ ერთს ადგილზე მოაგრო-
ვებთ, სიმალეს დაამშევნებას...

— ეგ კარგი მითხარით... მხედველობაში ვიქონიებ.

— უკაცრავათ, თქვენ ალბათ შორეული ნათესავი
მოგიყვდათ? — დაეკითხა მკერავი ქალი.

— არა — ქმარი — სოჭვა გულ-გრილად ახალგაზდა
ქალმა და ცოტა ხანს შემძეგ დაუმატა:

— მოხუცი იყო საწყალი.



ტ ე რ ი რ ი ს ტ ი ქ ა ლ ი.

გაათავა საშვალო სასწავლებელი თუ არა ზინამ, რმა-
ვე ზაფხულში გადასწყვიტა უმაღლესი სწავლა მიელო.

მიუხედავათ მშობლების წინააღმდეგობისა მან ერთ
მშევნიერ დილას მშობლებს გამოუცხადა, რომ ტფილისში
მიღიოდა, უნივერსიტეტში თხოვნას შეიტანდა და ოთხ-
საც მოიკვირებდა. ზინას დედის გულის წყრომას საზღვა-
რი არ ქონდა. მაგრამ ახალგაზრდა ასულმა თავისი გაი-

ტანა; გამოეთხოვა მშობლებს, იყიდა ბილეთი, მოთავსდა მატარებელში და ტფილისისკენ გასწია.

კუპეში შემოსულ ხალხს ზინა ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა და ფიქრობდა: საოცარი ადამიანია დადა-ჩემი: ქალიშვილის მარტოთ მოგზაურობა საშიშიაო, მაგრამ აგრეთხო საათია რაც მიღვეგზავრები და არავითარი ხიფათი არ შემხვედრია, ან რა უნდა შემეტხვეს?!

მიუხედავათ ასეთი ფიქრისა ზინა მაინც დელავაა, დელავდა რადგან ეს იყო პირველი მისი დამოუკიდებელი მგზავრობა.

რვა წელიწადი გაატარა მან მშობლების მფარველობის ქვეშ, და მხოლოთ დღეს იგრძნო ნამდვილი თავისუფლება.

ეს მატარებელი მას თითქოს ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ მიაქანებდა.

სიამოწებით ათვალიერებდა ზინა მატარებლიდგან გურიის მთებს და იმერეთის აბიბინებულ ჭალებს.

ბოლოს მატარებელი რიონის საღვურზე შეჩერდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ, კუპეში შემოვიდა ვილაც ძალზე პალარებული კაცი, მაღალი, დარდიმანდი. ეს უცნობი გახლდათ თავადი გიორგი. ის დიდი დონუანი იყო. როდესაც მან კუპეში შავ-თეალწარბა ლამაზ და ქორდა გოგონას თვალი მოქრა, ულვაშებზე ხელი გადისვა და შეაჩერდა, შემდეგ ზინას გაეცნო და ჩვეულებრივი სითამამით გამოიყოთხა თუ ვინ იყო და სად მიდიოდა.

ამ კითხვებზე ზინა მოკლეთ უპასუხებდა.

ლენინგრადში დიდი ხნის ნამყოფი, ქალის გულის კარგათ მცოდნე, თავისი გარეგნობის მომენტები თავაღმა გიორგიმ ზინას არშეიყობა დაუწყო. მოუყვა მან ლენინგრადის ამბები, აუწერა ნევის პროსპექტის მშენებელება. ოპერების სილამაზე და უძილო ლამეების სიტკბოება. ზინა მას ყურადღებით უსმერდა. გიორგიმ ხილი იყიდა და ზინას შესთაგაზა.

ხაშურის საღვურზე გიორგიმ ზინა სადილათ მიიწვია. ქალს სურდა უარის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა და დას-თანხმდა. ზინამ სადილის ფულის გადახდა მოინსომა, მაგრამ მოხერხებულ გიორგის ფული აღრე გადაეხადა.

შეწუხდა ზინა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოქცეუ-ლიყო, გიორგისთან ყოფნა არ უნდოდა, მაგრამ ვერ შორ-დებოდა, რცხვეროდა.

ბინდებოდა და ტფილისები ჯერ შორს იყო. გიორგი ზინას თანდათან უახლოვდებოდა. მის სიტყვებსა და ანგ-დოტებს ახალგაზრდა ასული მოთმინებილან გამოვაყდა.

გიორგი იმდენათ გათამაძდა, რომ ზინა შიშმა აი-ტანა, მან იგრძნო, რომ გიორგი როგორმე უნდა ჩამოე-შორებია და ხერხიც მალე მონახა.

უკბათ გიორგის მოუბრუნდა და უთხრა: იცით თა-ვადო, რომ ერთხელ ტერორისტება ვიყავი...

— როგორ? განცვითებით იკითხა გიორგიმ.

— დიახ, ტერორისტების წრეში ჩავეწერე და დიდ-ხანს ემუშაობდი...

— ეგ შეუძლებელია!..

— რატომ არ გვერათ.. განა ქალი რომ ვარ, იმის-თვის... ყველაფერს გეტჰედით .. მე კინებიც ვარ ნამყოფი...

— ეგ შეუძლებელია წაშოიძახა გიორგიმ და ადგი-ლიდან წამიოწია. ნიშნად უსაზღვრო ვაკეირებისა.. .

— არ მოელოდით, თავადო, არა?

— სწორედ რომ დაუჯერებელია. თქვენისთანა უმ-წიკვლო პიროვნება.. .

მაშ ყური დამიგდეთ. ზინა გაცამამდა და მოიგონა რაც გაევონა, ან ამოეკითხა ციხის ცხოვრებიდან: ბიქტორ პიუვის რომანი „უკნასენელი დღე დასჯილისა“, დოს-ტოევსკის „მექანი სახლიდან“, დოროშევიჩის სახალი-ნიდან და ისეთი დეტალები გადმოუფინა გიორგის, რომ მას ცივი წყალი გადაასხა.

გიორგი შეურაცყოფილად გრძნობდა თავს. მისი აზნაურული გემოვნება ალელვებული იყო.

-- ეს რა ოხერს ვინმეს გადავეკიდე შენი ჭირიძე. გავარდნილია ვიღაცა... ფიქრობდა გიორგი.

ზინამ სიცრულს უმატა.

გიორგი დალლილი იყო, დაქანცული, ეს მან მხოლოდ ეხლა იგრძნო.

— ჩვენ ყაზახები შემოგვესიერ, როდესაც ტყეში ვიყავით, დაგვამათრახეს და ციხეში მიგვაბრძანეს. რა კარგია, თავადო, ციხეში ყოფნა!.. ჩვენ ერთმანეთს კედლიდან ველაპარაკებოდით დარაჯუნებით, ჩვენ ჩვენი გამგეობა გვყავდა, სასამართლო...

გიორგი თვალებს ძლიერ ალებდა...

ზინამ ისარგებლა იმით, რომ გიორგიმ დაამთქნარა და ხალისიანათ შესთავაზა:

— ბატონო გიორგი, ჯერ ტფილისამდე შორსა ვჭრთ, აბრძანდით საწოლზე და მოისცენეთ.

გიორგიმ ჯერ იყოყმანა, მაგრამ შემდეგ ზინას რჩევა მიიღო და მალლა ავიდა.

ყურ ბალიშხე თავის მიდება და ხერინვის ამოშვება ერთი იყო.

ზინა სიხარულით კუპეს კედელს მიეკრა და თავისი ხერხით მოპოებულ თავისუფლებით სტკბებოდა.

ზაგებული თაძლევები.

ეს ამბავი ბათომში მოხდა—დაიწყო ერთმა ჩემმა მეგობარმა. რამდენიმე კაცი ბალის კიოსკში ვისხედით და გრილ წყალს შევექცეოდით. წყნარი, მშვიდი ზღვა მზეზე გასათუობათ გაწოლილი ლომის ფაფურს წააგავდა. მსუბუქი, ნაზი და საუნთქათ სასიამოვნო ჰაერი ფილტვების მოძრაობას გვიხშირებდა.

ხალხი პლატზე უკვე გროვდებოდა.

ჩვენ საუბარში ვიყავით გართული, რომ მოულოდნელათ მოვგიახლოედა ერთი ქალი.

ეს ქალი სწორეთ საუცხოო იყო. მას ქონდა მაღალი, ახოვანი ტანი მისი სიარული იყო მსუბუქი, ჰაეროვანი და ელასტიური. ტანზე აბრეშუმის კაბა ეცვა და ხელში ვარდის-ფერი ქრისტიანული მარტინის ფიფქის ფერ სახეზე წარბინა მის შემთხვევაში.

მას თავი ისე კოხტათ და თამამათ უჭირა, თ-თქოს მთელი მსოფლიოს მშვენიერებას თვისი გრძნობიერი ტუჩებით იზიდავს. ქალი იქვე ახლო ჩამოჯდა.

— ეგ რა საუცხოო არსება! — დაიძახა ერთმა ჩვენი წრიდან.

— ალბათ ინგლისელია — სთქვა მეორემ.

— როგორ გეკაღრებათ! პირ ეთრი, შავთვალ წარბა, ქალი ინგლისელი როგორ იქნება! ალბათ იტალიის საკონსულოდან არის, — შეენ შენ მე.

— ვინც გინდა იყოს, მაგრამ სწორეთ საუცხოო არსებაა.

ჩვენი ერთი ამხანაგი. სანდრო მამიაშვილი, ამ დროს არაფერს ამბობდა.

— შენ რამ გაგაჩუმა, კაცო?! — შენიშნა ერთმა.

— რა მეტქმის! — სთქვა სანდრომ — მე ბათომს გუშინ ჩამოვედი და აქაურიბით ისე აღფრთოვანებული ვარ, რომ არ ვიცი, ვინ ვეტრფიალო, ქალებს თუ ბუნებას. მაგრამ ერთს კი თამამათ ვიტყვი: შეძლება რომ მქონდეს, ეს ლამაზი ქალი რომდენიმე დღეში ჩემი მეგობარი გახდება... უფრო მეტს ვიტყოდი: ქალის ბუნება ისე ვიცი, რომ ცოტა შეძლებით ამ ქალს დღეს კიდევაც გავეკნობი და ამ სალამოს ამ პლატზე მასთან რამდენიმე საუცხოო საათს გავატარებ...

— ეს ტრაბახობაა და მეტი არაფერი — მივუგე მე.

— მოდი ნაძლევი!

— მოვდიგარ!..

— თქვენ მე ორასი მანეთი მომეცით და მე ჩემს გეგმას სისრულეში მოვიყვან... ქალის გული თუ რეინაა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ანდამატი ვარ...

სწორეთ ამ დროს ქალი ადგა, ერთი გაიხედ-გამოიხედა და ისევ გაბრუნდა...

სანდროს ახლა სახეზე უიმედობა დაეტყო.

ამან გამათამამა

— თუ ვერ მოახერხე?.. შევეკითხე მე.

— აი, ეს ჩემი ოქროს საათი იყოს თავდები და ფულსაც დაგიბრუნებ .. ხომ მენდობით...

სანდროს კარგათ ვიცნობდით.. ის თავმომწონე გაზებედავი და არშიყი ყუაშვილი იყო.. მართალია, დიდი ხნიდან არ გვენახა, მაგრამ ამით მას ჩვენი ნდობა არ დაკარგოდა.

მე მაშინ მანჯურიიდან ახლათ დაბრუნებული ვიყავი და ფული ბლომათ მეონდა.

— აი, ორასი მანეთი! ვუთხარი მე.

. სანდრომ ფული გამოვგართვა და გაგვშორდა. დღის ორი საათი იქნებოდა, როდესაც სანდრო ეტლში დავინახეთ. მან ეტლი გააჩერა.

— გავიგე, ვინც ყოფილა!. ის ბაქოელი ვაჭრის ცოლია. დღეს ოდესიდან ქმარს მოელის და ხვალ უკან ბრუნდება. ცხოვრობს „ფრანცია“-ში მე-6 ნუმერში. ვე-ცდები ნაძლევი არ წავაკო.

ჩვენს მოთმინებას საზღვარი არ ქონდა. დალამდა. ზღვის პირას აუარებელი ხალხი მოაწყდა. პლაზზე მუსიკის ხმა იშლებოდა და ხმაურობაში იფანტებოდა.

ჩვენ კიოსკთან ახლო ვისხედით და სანდროს ველოდით. სწორეთ ცხირა საათი იქნებოდა, რომ სანდრო გამოჩნდა. დახედეთ საოცრებას! მას ის ქალი მოყავდა. სწო-

რეთ ის ქალი, რომელიც დილაზე მოჩვენებასავით მოგვევლინა!.. სანდრომ ჩვენ ამაყათ დაგვათვალიერა, მოითხვა მაგიდა და ორივე დაჯდა. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ კონდა. ერთმანეთს ვეკითხებოდით, თუ როგორ შეძლო სანდრომ ეს, როგორ მოახერხა!.. მაგრამ პასუხი არ იყო. ამასთან ქალის გარეგნობაში, სიუთაჭიშეში თვით ეშმაკიც ვერაფერს ცუდს ვერ დაინახავდა .. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო წამოდგა, ანგარიში გაასწორა და ქალს მქლავში ხელი მოჰკიდა .. ორივე ხეივანში მიიმალა.

მოუფრენლობა სულს გვიხუთავდა იმ ლამეს სანდრო არ გვინახავს მეორე დღეს იგი შეწუხებული შემოგვევება.

-- ხომ გაჯობეთ!

-- რა სათქმელია .. მივუგე მე. სანდრო მოგვიყვა, თუ რა სიძნელე შეხვდა, რამდენი დახარჯა, და დაუმატა: თქვენ პირდაპირ დაძლევეთ .. იმ ქალის ქმარი დღეს ჩამოეიდა და სალამის ბაქოში მიღიან. მე დამწვარი გარ მისი ეშით და თფილისამდი მაინც უნდა გავყვე. იმ სიტყვებით სანდრო მოგვშორდა.

ამას შემდეგ რაძენიმე დღე გავიდა. იმ ქალის სახე ხსოვნაში ალიბეჭდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ერთ დღეს ქაში მიედიოდი სასტუმრო „ფრანცია“ უნდა გამეარა, და გარიფიქრე:

-- მოდი ამ ქალის ვინაობას მაინც შევიტყობ-მეთქი სასტუმროს კარებზე დარაჯი დამხვდა.

-- უკაცროვ-თ, აქ ამ დღებში მე 6 №-ში ბაქოელი ვაჭრის ცოლი რომ ცხოვრობდა. რა გ არი იყო?

-- მე-6 №-ში იყო სანდრო მამიაშვილი. მომიგო ცივათ დარაჯმა.

-- როგორ? შევძახე მე მაგრამ, აქ რომ ქალი ცხოვრობდა- მალალა, ხოვანი. . პირთეთრა...

სწორეთ ის მისი ცოლი იყო... დიდი ხანი არ არის, რაც ითხოვა .. ისნით თფილს გაემგზავრენ... დარაჯი სადღაც მიეჩქარებოდა.

ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა..

მაგრამ ნაძლევი მაინც წაგებული იყო...

სონა, მარო და ივლიტე—სამი განუყრელი ამხანაგი იყო. ზამთრის გძელ ღმეში დროს ხშირად ერთად ატა-რებდენ. მათი საუბარი ყველაფერს ეხებოდა; სიყვარულს, ცხოვრებას, მეგობრობას: საუბარი დიდათ დაწყობილი არა ჰქონდათ მაგრამ ხანდახან მიმზიდველი კი ხდებოდა. მათი ქმრები სხვადასხვა საქმეებში იყვნენ გართული და საშს მეგობარს სასაუბროთ დრო ბევრი ჰქონდათ.

— სონა, მითხარი, შენ პირველი კოცნა სად ან ვის-გან მიიღე? —

ერთ ასეთ სალამოს კითხა მარომ სონას,

… გეტყვი... ოლონდ სიტყვა მომეური, რომ არც შენ დამალავ, — მოუგო სონამ.

— ბერა, რას ამბობ, შენ თუ იტყვი მეც ყველა-ფერს გულახდილათ მოგიყვები.

— მაცალეთ ჯერ საკითხი გამოვარკვიოთ — ჩაერია ივლიტე — თქვენ რომელ კოცნაზე აპირებთ საუბარს?

— აღ, იმ კოცნაზე, რომელსაც პირველად განიცდი იმ ასაქში, როცა ყოველი უცწობის ხელის მოახლოება ტანში სასიამოვნო ურუანტელად დაგივლის და თავში შამპანურიეთ ავარდება ხოლმე.

— ჰო! კარვი, ახლა მესმის! — სთქვა ივლიტე. —

— მაშინ მოწაფე გიყავი — დაიწყო სონამ, — როდე-საც პირველად მაკოცეს. ეს იყო სოფელში. მთელი წლით პანსიონში დამწყვდეულს, მიყვარდა მიდორზე უდარდე-ლათ სირბილი. ხშირად ჩემი. მეზობლის შეილი, ლენინ-გრადის უნივერსიტეტის სტუდენტი დამყვებოდა ხოლმე. ლამაზ სახეზე პატარა ულვაშები ჰქონდა. მისი შავი თვა-ლები გეგონებოდა აგერ ბუდიდან ისხლეტენ და დაგე-ძერებიანო. ვაუმა არშიყობა დამიწყო. მიხაროდა. ერთ დღეს ქარაგმითაც დამიწყო საუბარი, ერთმანეთს გავეჯიბ-

რეთ, წავიკიდეთ, ბოლოს ისევე შევრიგდით და შითხრა, მაყვალის საქებნათ წავიდეთო დავთანმხდი. თუმცა გულზე სისხლი დამაწვე, და ვგრძნობდი, რაღაც უცნაური მოხდებოდა, ზაგრამ მაინც გავყევი.

— აგერ მწიფე მაყვალია... არა, ეს სჯობია... აი, აგრ უკეთესი... ჩენ ჯერ „უკაცრავათ“ მაყვალს ერთად წავუპოტინებდით ხოლმე ხელს. ბოლოს, არ ვიცი რა დამემართა... გიუმა ნიკაპშე ხელი დამტაცა და ერთი მაგარი კოცნა... რას ვიზამდი. ავეშალე ერთ თვეს ხმა არ გამიცია. თუმცა, მართალი გითხრათ, დილას, როცა თვალებს დავტუჭავდი, სულ იმ გიუსი სახე მელანდებიდა ..

დაასრულა სონამ და მაროს გადახედა.

მარომ დაიწყო:

— მე პირველი კოცნა ქალაქის ბალში მომართვეს. ვილაცა ახალგაზდა ყმაწველი გამაცვნეს. მეო, ამბობდა ივი, მგოსანი გარ რიერაჟისა და მიღწებული განწობილებისა. რადარა თეორიები არ გადაშალა ჩემ თვალწინ... სიტყვის ოსტატი იყო, განსაკუთრებით ემარჯვებოდა ლიტერატურაზე ბაასი იმისმა გემოკნებამ გამაგიუა. მე ივი მეჩევნებოდა ლაუკარდში მონავარულე თეთრ ტრედათ. ამავე დროს იყო ზრდილი, ჩეილი.. ერთხელ ბალში სიარულის დროს დაღლილობა ვიგრძენი, მაგრამ დასასვენებელი ადგილი არსად იყო, მაშინ მან ხეინისენ მიმითითა. წავედით სრული მყუდროება იყო. ცოტა მეუქხვა ეს განმარტება, მაგრამ ასეთ კაციან ქვეყნის განაპირასაც კი გავცილდებოდი. იმდენი ილაპარაკა ლექსებზე, მხატვრობაზე, ქანდაკებებზე, რომ ერთიანად გამაბრუა. შემდეგ მომიბრუნდა და მკითხა: თქვენ როგორ მოგწონთ ზღვის ქაფიდან ამოსული მშვენიერი ვენერაო .. და ამ დროს მხრებზე მისი ხელი ვიგრძენი, შემდეგ, დამიჭირა სახე და გადამკოცნა. ტანში სიცივე ვიგრძენი. ის სულელი კი მშვიდათ იდგა და ამბობდა:—ოდეს ლვთიურმა დანტემ

ნატიფი ბეატრიჩე ოქროს ორუბლებში გახვეული იხილა..
ამ წუთს მზად ვიყავი მისთვის ისეთი სილა გამეწნა, რომ
სისხლი ტვინში აეკარდონდა, მაგრამ თავი შევიკავე. ამას
შემდეგ, ღმერთმანი მთელ ერთ კვირას მუცელზე ვინე-
დებოდი.

ამის გაგონებაზე სონამ გულიანათ გადაიხარხარა,
მაგრამ უცბათ ივანიტქს შეწუხებულმა ხმის კილომ შეა-
ჩერა.

— მე უბედური ვარ, თქვენთან შედარებით. ძალიან
გულით მინდოდა, ახალგაზლობის გრძნობა რითიმე გამე-
ხალისებია, მაგრამ ვერ შევძელი... რომანებისა დიდი მკი-
თხველი ვიყავი... პირველი კოცნა ასე მელანდებოდა: აი,
მიღორში ვარ. მაისს ლილაა გარს ათასცერი პეპლები
მივლიან. ყვავილების სურნელობ მათრობს; უცებ შორით...
შავ ცხენზე მხედარი ზის და შურდულივით მოქროლავს.
მომიახლოედა, ცხენიდან გადმოხტა თავაზინად თავი და-
მიკრა. ბრუ მიელის. მან ხელი შემომხვია და მაკოცა...
ბეჭნიერება, ნეტარება!.. და ამის ნაცელად, იცით სად
ვიგემე პირველი კოცნა — მატარებელში. და ის საძაგელი
იყო ჩემი ქმარი? დაიძრა თუ აუ მატარებელი, ხელი გა-
დამხვია და გადამლობნა. ფუ! რატომ გავიხსენე... სთქა
ივლიტებ და მოიწყინა. სონა და მართ თანაგრძნობის ნიშ-
ნად დიდხანს სდომდენ.

ო რ ი ვ ე დ ი.

როდესაც იტალიის ქალაქ გენუაში ჩამოველი, აგ-
ვისტოს თვე იყო, დაიწყო ერთმა ჩემმა მეგობარმა.—მზეს
ჰაერი ისე გაეთბო, რომ სასტუმროში დიდხანს ვერ გავ-
ჩერდი.

დავათვალიერე დიუკის ცნობილი პალაცო, წმ. ლავ-

რენტის გრანდიოზული ტაძარი და შემდეგ ბოტანიკური ბაღისაკენ გავემართე.

გენუას ფირუზის ფერი ზღვა შეილდივით მიწოლო- და და თვისი თბილი ტალღებით ქალაქს თითქოს ნანას ეუპნებოდა. ბალი ზღვას მედილურათ დაყურებდა.

ზღვაზე რამდენიმე სახელმრიო გემი მიმორონს აკე- თებდა. თვალის წარმტაცი ზღვა მშვენიერებით მოსავლა მწვანე ბაღნარში ჩაფლულ ქალაქს.

ზღვის მსუბუქი ჰაერი, ფიჭვნარის სურნელება, მალ- ლობილან ზღვის ცეკვით განცდილი სიტყბოება — ძარლ- ვებს ამშვიდებდა, სულს ამაღლებდა და ამიტომ დიდ- ხანს გამიტაცა და დამიმონა ამ სანახაობამ.

მაგრამ როდესაც მზე გაღიხარა და ზღვის ცქრია- ლა ტალღებში ტანის დაბანა მოისურვა, მე წავედი გე- ნუის სასაფლაოზე. მეონის უსაზღვრო ფანტაზიამაც რო მოინდომოს აღწერა იმ სიღიაღის, სიმშვენიერის, სილა- მაზის და სიმღიდრე-ფუფუნების, რასაც გენუის სასაფლაო წარმოადგენს, მერწმუნეთ, რომ ვერ შესძლებს!.. სამტო- კამპოს სიმაყეა ყოველი გრძელისა!

ანგელოზები, ნიმფები, სიმბოლიური ნიშნები, ალე- გორიები და სახარებიდან ამოღებული სიუჟეტები, ნიჭი- ერ მოქანდაკეთაგან შექმნილი სხვადასხვა მარმარილო- დან, თვალს იტაცებს, გონებას ხიბლაეს და აღტაცებას აათასებს!..

მუსიკის სმით დამტკარი დავდიოდი, რომ უეცრათ ხეივანში ერთი ქანდაკება დავინახე:

ყვავილებით მორთულ ორ საულავზე ვიღაც ხელო- ვანს დაედგა ორი მაღალი გედის მარმარილოს ქანდაკე- ბა. ორივე ფრინველს ყელი ერთმანეთზე გადაეჭდოთ და თითქოს ეძინათ ..

— ნეტავი ვისია ეს საფლავები? - გავითიქრე.

ამ დროს ერთი მოხუცი მომიახლოვდა.

— უკაცრავათ, თქვენ ალბათ გსურთ ამ საფლავების
აშბავი გაიგოთ — მითხრა უცნობმა ფრანგულათ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — დავეკითხე მას.

— მე ამ სასაფლაოს მებალე გაზლავართ. ამ ადგილას
უცხოელები ხშირათ მოდიან. აი, თქვენ აქ დაისვენეთ და
მე გიაშპობთ...

— ეს დიღი ხნის ამბავია, -- დაიწყო მან, -- მაშინ გე-
ნუას ლიგურიას ეძახდენ. ამ ქვეყნის მრისხანე მფლობელს
ყავდა ერთი ასული, სახელათ ლენა. ლენას გათხოვებით
ლიგურიის ბატონს ფლორენციის დოქის დაახლოება სურ-
და და ამისათვის მას საუცხოოთ ჰრდიდა.

პარმონიას შურდა ლენას რითმიული სიარულის სიმ-
სუბუქე, სოსან იბნიდებოდა, როდესაც ლენა ოვასი ყელ-
მქერდით მას დაყნოსავდა, და მისი ხმის სიტკბოება
მთვარის მგოსანსაც კი ჩრდილავდა.

ბაგრამ ბედმა დიდებულ მფლობელს მწუხარება არ-
გუნა. ლენას შეუყვარდა სასახლის მუსიკისი გვიდო.

სიყვარული ყელგან უცრაურია, მაგრამ ამ ჩვენს და-
ლოცვილ ქვეყანაში, საღბც მზე ძარლვებს აგრე ათბობს,
— გიუა, გადარეული.

გვიდო და ლენა გაიქცენ. განრისხებულმა თავადმა
ორივე დაიჭირა... ორი რგვალი კოშკი ააგებია... ერთი
ერთ კოშკში მოათავსეს და მეორე — მეორეში.

მხოლო კოშკის გალივნიდან შეეძლოთ მათ ერთმა-
ნეთის დანახვა.

მწარე იყო მათი სიცოკხლე.

ერთმნეთს უყურებდენ — და დნებოდენ.

წლები გადიოდა, მაგრამ მტარვალის გული შეუ-
რაცხოფას ვერ ივიწყებდა...

ვერ გაუძლეს ტანჯვას. გვიდომ და ლენამ ერთ
დღეს მოისურვეს შეხვედრა — აზუ, უკეთ ესთქვათ, ერთი
წუთით მაინც ეგრძნოთ, რომ ერთმანეთისაკენ მიისწრა-
ფიან, მიიღებიან...

ორ კოშეში მოთავსებულებმა—თითქოს უსირყვოთ
განიცადეს ამ სურვილის მიმზიდველობა. ერთმანეთის
მოსახვეებათ ხელები გაშალეს და—ორივე ერთ დროს კოშ-
კიდან გადმოექანა...

კოშე მაღალი იყო...

სიკედილმან მათ შავი სუდარა გადააფარა.

ეს ორი საფულავი დიდხანს იყო მივიწყებული—და
მხოლოდ შემდევ ნიჭიერმა ხელოვანშა მათ ასეთი ქანდა-
კება გაუკეთა — დაასრულა მებალემ.

ამ ამჰას გაგონებამ ისე გამიტაცა, რომ ადგომას
ვერ ვახერხებდი...

მზე უკევ სინათლეს კარგვდა და სალამოს ბინდმა
ამ ორ ფრინველს ისეთი ჩრდილი გადააკრა, რომ ცოც-
ხალი გეგონებოდათ... მაგრამ ისინი მაინც უძრავათ იდ-
ვენ, რადგან მათ კისრით გადაბჭობაში ნიჭიერ მოქანდა-
კეს გვიდოსა და ლენას გულის სამარადისო ლტოლვა მო-
ეთავსებია.



შემ-ჰავიდ-აბრევი.

თავი პირველი.

ლექეთის ერთს მხარეს, მთელი შარხი ისე ირეო-
და, რომ მზის სხივით გალვიძებულ სქასა გავდა.

ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, იმ ცაცხვის ძი-
რას მიისწრაფოდა, საღაც ხალხი ხან გასართობათ იყრის
თავს და ხან კი თემის საქმის გადასაწყვეტათ.

სხვა ღროს აქ იმდენი საზოგადოება თავს არ მოი-
ყრიდა და თუ დღეს ცველა ამ ადგილს ეტანებოდა, - ეს
იმიტომ, რომ მთელს ააკში სახელგათქმული ვაჟის, შეხ.-
ჰაშიდის მშობლებთან გამოსალმებას ღასწრებოდა. შეხ.-
ჰაშიდი აულსაც სამუდამოდ ეთხოვებოდა. მთელი თვე

დადიოდა ხმა საზოგადოებაში შექ-ჰამადის ასეთ გადაწყვ-
ვიტილებაზე, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ
რამ აიძულა იგი ასეთ სახიფათო გზას დადგომოდა.

არც მშობლების ვედრებამ, არც ქაოიმის რჩევამ
ვერც ანაფის გაფრთხილებამ გამბედავი ვაჟის სურეილი
ოდნავ ეკრ შეარყია. წერილი წკენლის ლობით შემოვლე-
ბული პატარა მოედანი მალე ხალხით აივსო. ანაფი ცაც-
ხის ძირას, თლილ ქვაზე ჩამოჯდა დანარჩენებმა იქვე
ახლო-მახლო მოიკალთეს; ქალები და ქალიშეილები ცო-
ტა დაშორებით დადგენ. შორიდან შექ-ჰამადი გამოჩდა.

იგი მშობლებს ცოტა დაშორებით მოჰყვებოდა. მათ
დანახვაზე ატყდა ერთი ჩოჩქოლი. შექ-ჰამადმა ყველას
სალამი მისცა, შემდეგ მშობლებს გასცილდა და დაწო-
რებით დადგა.

მას, მხარზე მოკლე ნაკადი ჰქონდა, ხელში ოქრო-
თი მოვარაყებული თოთი ეჭირა.

ნაბუიღან ვერცხლის სარტყელი მოსჩანდა რომელ-
ზედაც ოქროთივე მოვარაყებული ხანჯალი ეკიდა.

შექ-ჰამადი ვაჟკაცი იგი მაღალი, ახოვანი ტანის
იყო, ქონდა განიერი ბეჭები და წვრილი წელი.

მის მოგრძო სახეს სპილენძის ფერი გადაკრაედა
მაღალი, მოლუნული ცხვირი, პატარა, წვრილი, თამამად
აწეული ულვაშები და შავი, მიმინისავით მოძრივი ორი
გიშრის თვალი ვაჟკაცობას და გამბედაობას გამოსახავდა.

განსაკურრებით ლამაზი ხდებოდა შექ-ჰამადი, რო-
ცა გულმოსული ჩაფიქრდებოდა ხოლმე, მაშინ მისი ცხვი-
რის ნესტოები ფართოვდებოდა, წითელი ტუჩები მოძრა-
ობდა და ორი რგვალი ნახშირივით შავი თვალი ცეცხ-
ლივით ენსებოდა. მაშინ სახით, შეხედულობით, იგი მთის
აბაყ არწიეს ემსგაესებოდა.

შექ-ჰამადის მოსვლით გამოწვეული სამარისებური
სიჩუმე, შექ-ჰამადის მამამ დაარღვია. მოხუცი მაღალი

გამხმარი ტანის იყო; სახე სხვა დროს მკაცრი და შეუპოვარი, ახლა ისე დარბილებოდა, რომ მწუხარებას ტ სასოწარკეთილებას ადამიანი ადვილათ ამოიკითხავდა.

ხალხნო! დაიწყო ძეველმა. მთიელმა აკანქალებული ხმით,— ჩემს სიბერეს მოწამლული ისარი მოხვდა.

ჩემს გაზაფხულის დღისავით ბრწყინვალე იმედს შავი ბურუსი გადაეჭარა, დამიღვა საშინალე უამი. ჩემს ერთად-ერთ შეილს, ჩემს მოხუ კობის იმედს, სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო. არ ვიცი ჩემმა ბედმა რათ მიმუშთლა. თქვენ არ იცით, რა გულგრილათ, რა ცივათ მიიღებთ გულშავი სამარე იმ გვამს რომელიც შთამომავლობის მასალგაცნებული ცრემლით არ განბანილა უიმედო, უძლური ვდგევა: თქვენ წინაშე, მეგობრებო!

მოხუცის შეძლევ წამოდგა ანაფი ზურფუყალი, ვას თავი თეთრი აბრეშუმით ჰქონდა შეხვეული, გძელი წვერულვაშით დაწვერებელი სახე მოეღუშა.

მოხუცმა ხანჯალზე ხელი ამაყათ დაადო და შემდეგ თემს რიხიანი ხმით მოუბრუნდა.

ხალხნო, საშინელი სურათი გიდგიათ თვალწინ.

შეს ჰამადის მშობლებთან გამოთხოვება მთელი თე-მისათვის სამწუხაროა. მე ეს ვიცოდი და მთელი ორი კვირა ვეველრე მას, რომ თვის გადაწყვეტილობაზე ხელი აილო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აბრეკობა ძნელია. აბ-რეკმა, როგორც იცით უნდა მოიკლოს ყოველ გუარი სი-სუსტე. ის ჩვეულებრივ სიკოცხლეს უნდა მოჰორდეს-მისი დედა — შავი ღამეა მისი მამა — ავგულობა; მასი მე-უღლე — უშიშრობა.

ნადირისაგან ის მთლად იმით განირჩევა, რომ ნა-დირი ბუნების განაჩენით ატარებს ასეთს სიკოცხლეს და აბრეკი თავისივე ნებაყოფლობით.

ძნელია, ძნელი მათი ცხოვრება და ჩვენი მოვალეობაა როგორმე ეს განსაცდელი თავიდგან ავიშოროთ. რეი-

ნაც მაგარია, მაგრამ მას ცეცხლი ალბობს, ვთხოვოთ ყველამ შეხ-ჰამაღს, ამ ზომამ შეიძლება მაზე რამე გავლენა მოახდინოს.

მთელმა შამიხმა, როგორც ერთშა კაცმა დაიძახა:

— „შეხ-ჰამედ, ჩვენთან დარჩი, შეხ-ჰამად დარჩი“!

ამის გამონებაზე შეხ-ჰამაღს ფერი წაუვიდა, ხელით ანიშნა და ყველა გაჩუმდა.

— გმადლობთ, მაგრამ რჩევას ვერ მიუიღებ... მივდივარ... ვერ გეტყვით რომ ამ წუთას მწუხარებას არ ვგრძნობდე, მაგრამ ამაზე გავჩიტდები... ჩემი მშობლები თქვენთვის მიმინდევია სოქვა შეხ-ჰამადმა და თემის წინ თავი მძიმეო დახარა.

— შვილო, რათ გვეკარგები! რათ გვშორდები! ჩამტყდარი ხმით დაიძახა მოხუცმა მამამ და ქვითინი მორთო.

— ჩემო ლომ-ჟაცო, ჩემო ნაზარდო! შეკივლა დედამ და შვილისკენ გაიწია.

რამდენიმე ნაბიჯი და ის შვილს უნდა გადახვეოდა, რომ მისი ნაზარდი გულზე მიეკრა, მისი ცრემლიანი თვალები ვაჟის მკერდზე გაევლო. „კიდევ ერთხელ ველირსები მის ამბორს, ფიქრობდა მოხუცი ქალი, მაგრამ შეხ-ჰამადმა მოხუცი დედის იმედი არ გაამართლა.

შეხ-ჰამადმა ხელით ანიშნა, რომ მისი მიახლოვება მას არ სურდა.

ვინ იცის ეგებ შეხ-ჰამაღს შეეშინდა, რომ დედის უკანასკნელ ამბორი მაზე გავლენას მოახდენდა. მოხუცი ქალი გაქვავებულივით შეჩერდა, ფერი წაუვიდა და თვალები უნცნაურად გაუფართოვდა.

— მშვიდობით მე, ამას შემდგომ შენი შვილი არა ვარ! შესძახა შეხ-ჰამადმა.

— შეხ-ჰამად! შეხ-ჰამად — შესძახეს ქალიშვილებმა.

— მე შვიდობით! გადასძახა მან ქალიშვილებს და თემს ზურგი მიაქცია.

სწორედ აშ დროს, შორიდგან თოფის სროლა გა-ისმა.

— ეს ალბათ აბრიკებია! სთქვა ერთმა.

— ალბათ შახ-ჰამაღის ამბავს შეიტყობდენ... ელი-ან... გაისმა ხმები.

მოვდივარ! მოვდივარ! შესძახა შახ-ჰამედმა და ტყის-კენ გაექანა.

— ეაიმე შეილო! შეპყივლა შეხ-ამაღს დედამ და გაშეშებული მიწაზე დაეშვა.

მოხუცს ქალს, მაშინათვე ქალები შემოესიენ, წყალი მოურბენ. ეს, მოა ულიკერეს და შინ წაიყვანეს.

თავი მეორე

ვეებერთელა ხეებით შემოსილ მთის ჩრდილოეთით უზარმაზარი გამოქვაბული იყო. ეს გამოქვაბული გძელ დარბაზს წარმოადგენდა. ერთს ალაგას, კედელზე, ტახტი იყო მიკეთებული, რომელზეც აბრეკები ნაბაღს გადააფენ-დენ ხოლმე და ლამეს ათევდენ. კედლებზე ძველი იარა-ლები ეკიდა. ერთს კუთხეში დიდი ყუთი იღვა, სადაც ხან საჭმელს და ხან ნადავლს ინახავდენ.

სარკმელის ნაცვლად კედელი ორ ალაგას რგვლათ გამოენგრიათ. დარბაზის შუა ერთი მოშსხო ქვა იღვა, აქ ხშირათ ცეცხლს აჩალებდენ.

გამოქვაბულის წინ ვიწრო ბილიკი მიყვებოდა, რომ-ლის დაღმართ თვალ უწვდენელ უფსკრულს პირი გველ-ვეშაპივით დაელო.

რაღაც საშინელს, სატანიურ სურათს წარმოადგენ-და ეს ადგილი. მხოლოდ ხანდახან ირემი, ან გზა დაბნე-ული, ტან-სუბუქი ქურუყი თუ გაირბენდა ხოლმე, თო-რემ დანარჩენ დროს არწივისა და ქორ-მიმინოს მეტი, არავითარი სულდგმული აქ ფეხს ვერ მოიდგამდა.

ეკალი და სალი კლდე, სალი კლდე და ეკალი, არ, მუდმივი მოსახურავი ამ ადგილისა.

მხოლოდ აქა იქ ვეებერთელა ფიჭვების დასახიჩრებული ტანი მოსახურავი.

ზამთარში თოვლის ზეინი აზიანებდა აქაურ ხეებს და ზაფხულში წვიმა გამოუთხრიდა ხოლო ძირს ვეებერთელა ქვის ლოდს და ჯოჯოხეთური ხმაურობით ხეთქებოდა იგი პატარა გორაკებს, ღილს ხეებს, ჩირგვ-ბუჩქნარებს; ერთს სტეხდა, აზიანებდა, მეორეს კი მუსრს ცვლებდა.

ასეთ ადგილას ნადირიც კი შიშით გაირბენდა, მაგრამ აბრეკებისათვის ეს ადგილი სწორეთ ამიტომ იყო უშიშარი.

ამ გამოქვაბულში აბრეკები ხანდიხან თავს მოიყრიდნ, საუბრობდენ, ერთმანეთს უზიარებდენ თავის შთაბეჭდირებებს; მიუხედავათ ადგილის ასეთი მდებარეობისა, აბრეკები მაინც ძილს არ ენდობოდენ და ლამე ერთი აბრეკი თოვით ხელში მუდამ კარებთან იდგა ხოლმე.

თვითონ აბრეკებს ერთმანეთთან არავითარი გრძნობა არ აერთებდა, გარდა უბრალო ხელობის თანაგრძნობისა. აბრეკებში მეგობრული განწყობილება ძვირათ მყარდებოდა. ხშირათ, დაცემის დროს, ისინი თავს მოიყრიდნ, მაგრამ შემდეგ ი-ევ გაიფარცხებოდენ ხოლმე.

ისეც ხთებოდა, თუმცა იშვიათად, უბრალო გამოლაპარაკების შემდეგ, ერთი აბრეკი მეორეს ისე აუხირდებოდა, რომ მათ დავაში სხვებიც ჩაერეოდენ ხოლმე და მაშინ სისხლის მღვრელი შეტაკება ხდებოდა მათ შორის. მუდამ შიშით ცხოვრება, განსაცდელისათვის მუდამ თვალში ცექრა ართმევდა მათ იმ ადამიანურ გრძნობას, რომელიც სიცოცხლეს ჰქმნის საზოგადოებაში. შიუხედავათ სასტიკი ცხოვრებისა, მათ მაინც უხაროდათ, როდესაც რომელიმე ჭაბუკი აბრეკათ წასვლას განიხრახავდა. შეხ-

ჰაბადის აბრეკათ წასვლის ამბავმაც მათ ნამდეილი ნეტა-რება მოჰვეარა. ამიტომ შეიტყვეს ის დღე, როდესაც შეხ-ჰამადი თემს ეთხოვებოდა და თავისი ხმაურობით შეხ-ჰამადს უკანასკნელი წუთების მწუხარება გაუაღვილეს.

სალამის აბრეკები გამოქვაბულში გვიან დაბრუნდნენ, შეხ-ჰამადი ძალიან დალლილი იყო, და ამიტომ ადრე დაიძინეს.

გათენდა მეორე დილა. ჯერ მზე ამოსული არ იქნებოდა, როდესაც ერთმა აბრეკმა თავი წამოჰყო და ამხანაგებს გალვიძება დაუწყო.

ეს აბრეკი იყო ომარე. ომარე ძველი, უშიშარი აბრეკი იყო. შეიდი კრილობისაგან გადარჩენალი, სასტიკი, მხნე; იგი შეტაკების დროს ყოველთვის წინ მიიწევდა. ამხანაგები ომარეს დილი პატივით ეპყრობოდებ და უფროსათ სთვლიდენ. ძველ აბრეკს სახე კრილობით ქონდა დასერილი და მარჯვენა ყურის ნახვარი ერთი უწიორო ომის დროს დაკარგოდა, მარცხენა ყურზე კი რკინის შავი რგოლი—საყურე - ეკიდა.

როგორც რკინის პირობებში მყოფი და მუდამ ბუნების მაკერალი, ის თავიდან ფეხებამდი ერთ მთლიან პიროვნებას წარმოადგენდა. ერთ-ხელვე არჩეულს, დამწიფებულსა და ასასრულებლათ მიჩნეულ აზრს ის არასოდეს არ უღალატებდა და მას თავსაც მთლათ შესწირავდა.

— აბა, წამოდექით, ჩქარა! — დაიძახა ომარემ, როცა შეამჩნია, რო ზოგიერთი ძილს ადვილათ ვერ ცილდებოდა; მალე ყველა წამოდგა. აჩქარებით ისაუბმეს და შემდეგ, ომარეს მოწოდებით, შეხ-ჰამადის დაფიცებას შეუდგენ.

— არაფერია, მალე შეეჩვევი ჩვენს ცხოვრებას. — უთხრა შეხ-ჰამადს ერთმა აბრეკმა. გართალია, ხშირათ ყურთან ყაზახის ტყვია ზუზუნით გაირჩენს, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისუფალი გაქვს, ვიდრე სული გიდგია!...

— მე, როდესაც პირველათ აბრეკი გავხდი, ძალიან მეშინოდა, მაგრამ მალე ყაზახებთან შეტაქება მომიხდა. ერთ დღეს, ჩევნი მთხრობელი მოვიდა და გვიოხრა: ფოსტა მოდიოს. ჩევნ მოგემშადეთ, დავეცით, ოთხი ყაზახი დავჭრით, ერთი მოვკალით და ფოსტა კი ხელში ვიგდეთ.

— შემდეგ ვილაპარაკოთ ამაზე. სოქეთა ობარებ. ახლა, შეხ-ჰამად, მომიახლოვდი და ეგ ფიცი გაიმეორე. ომარიმ ალთქმის სიტყვები ნელის ხმით წარმოსთქვა; შეხ-ჰამადმა მოწიწებით გაიმეორა:

— ვფიცავ ალლახს, ვიდრე სული მიდგია, აბრეკბის ერთგული ვიყო: არც მშობლების, არც მეგობრებისა და არც დიაცის სიყვარული არ წამართმევს გონებას, რომ ჩემს მოვალეობას ვულალატო.

გაგარი ვიქენები, ვით კაუი; შეუპოვარი, ვით ნადირზე მიმავალი ვეფხვი; ამაყი. მეღვარი და შიუკარებელი.

თუ ჩემში რდესმე ისეთი გრძნობა დაიბადა, რომელიც ხმალ-თოფზე ფიქრს დამიშლის, დეე, ტყვიამ გული გამიგმიროს, როგორც ულირს აბრეკს, როგორც ფიცის გამტეხს. ფიცის შემდეგ, ერთმა აბრეკია ცეცხლი გააჩა-ლა, ობარებ შეს ჰამადს თოფი გამოართვა. აკოცა და ამხანაგს გადასცა. როდესაც თოფი ისევ მოარეს დაუბრუნდა, მან იგი ცეცხლში ჩასდვა.

არ ულალატო პატრონს.. ცეცხლი იყოს ამის თავ-დები --სთქვა ობარებ და თოფი შეს ჰამადს გადასცა.

შემდეგ ხმალი და ხანჯალი დალოცეს, რის შემდეგაც შეხ-ჰამადი გადაეხვია თავის ამხანაგებს. ამ დროს ერთმა აბრეკმა თოფი მომართა, ისროლა, თითქოს, მუნჯ ბუნებასაც კი ახარა ახალი აბრეკის შეძენა.

ამ დღიდან შეხ-ჰამადი გაყვა. აბრეკების სახიფათო და მასთან სასტიკ ცხოვრებას.

თავი მესამე.

გაზაფხულის მხტრვალე დღეები იდგა. ლაქვარდოვან ციდან მშე თავის ცხელს სხივებს უხვად აბნევდა დედამიწაზე.

ერთს ასეთ დღეს მთელი ლამის უძინარი და დალ-ლილ-დაქანული შაბ-ჰამად ფეხით მარტო მიღიოდა ვიდრე მაღალ მთებზე ასელას შეუდგებოდა, მარცხნით მოუხვია, უნდოდა კოტა ხანს იქ წყაროსთან დასვენება. სალ კლიდიან ჩიხჩისით ჩამომაყოლ პატარა წყაროს წყალი, ვით-ყინული, ცივი იყო; ასეთი წყარო სიცხისგან შეწუხებულ ადამიანისათვის უებარი წამალია.

შეს ჰამადმა თოთუ და ნაბადი იქვე ხეს მიაყუდა; ცივი ანკარა წყაროს წყლით გული გაივრილა, შემდეგ ქვაზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. იმ დღიდან, რაც შებ-ჰამადი აბრეյათ გავიდა, ერთი წუთი მოსვენებაც არ უგემია, მაგრამ ბოლოს თოფით ხელში ცხოვრებას, მუდამ ლამე სიარულს ადვილად შეურიგდა და მუდამ შეტაკების დროს, სწორედ იმ ადგილისკენ მიიჭრებოდა, სადაც მეტი საფრთხე იყო მოსალოდნელი და მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ამხანაგებში დიდი პატიეტი და თაყვანის ცემა ქონდა მოხვეჭილი და არც ერთი საშიში ბრძოლა, და სახიფათო თავდასხმა რე არ მოხდებოდა, რომ შებ-ჰამადს არ სცოდნოდა და მონაწილეობა არ მიეღო.

პირველად ომარე ნამდვილი შურის თვალით უყურებდა შებ-ჰამადის გამარჯვებას, მაგრამ შემდეგში თანდა-თან მოლბა და ბოლოს შებ-ჰამადის გაეკაცობით მოხიბლულია პირში ქებაც დაუწყო.

ერთ მშვენიერ დღეს, მდიდარი ნადავლის გაყოფის შემდეგ, ომარემ ამხანაგების თანდასწრებით, თავისი გარაუყებული დამბახა და სირმით მოქარგული ქისა შებ-

ჰამადს დაულოცა, რაც იშის ნიშანი იყო, რომ ომარე ამ დღიდან აბრევთა წინამძლობაზე ხელს იღებდა და პირველობას შეხ-ჰამადს ულოცავდა.

შეხ-ჰამადიც სინდისიერად სარგებლობდა რჩევით და ომა-ეს დაუკითხავად, მასგან რჩევის მაულებლად, ძვირად ფეხს თუ საღმე გადადგამდა.

ბედი ადამია-ს მუდამ არ ულიმის და ერთს მშვენიერ დღეს მას ყაზახის ტყვია მხარში მოხვდა.

დაჭრილმა შეხ-ჰამადმა, ამხანაგების დახმარებით ძლიერ მიაღწია გამოქვაბულამდის. ორი დღე საშინელ ციებ-ცხელებაში გაატარა, ჸაგრამ მალე მოკეთდა ავათ-მყოფობას აძნელებდა ის გარემოება, რომ მალე დიდი სიცხეები დაიკირა, რაც ჭრილობას მეტად ამშვაცელდა. მიუხედავათ ამისა, მისმა ფოლადივით მაგარმა აგებულებამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და შეხ-ჰამადი იმდენად მომჯობინდა, რომ თვითონ დაიშუო სიარული ერთ, იმ არე-მარეში სახელგანთქმულ დედაბერთან, რომელიც ჭრილობის უებარ მეურნალად იყო ცნობრლი.

ერთხელ მკურნალისაგან მომავალ შეხ-ჰამადს გულმა უსუსტა და გადასწუვიტა წყაროსთან მისვლა, იქ გულის მობრუნება.

აბრევთ ცხოვრება იმდენათ საშიშია, რომ საქმარისია მცირე შრიალიც, რომ აბრევმა ყური ცქვიტოს; ამიტომაც, როდესაც შეხ-ჰამადს შორიდან რაღაც ხმაურობა მოესმა მაშინვე ნაბადი გვერდს მოიგდო. თოვი ხელში მოიმარჯვეა და ხეს ამოეკრა. ამ ღრის შორიდან რამდენიმე ქალიშვილი გამოჩნდა. მათიარული სიმღერითა და კისკისით მიღიოდენ წყაროსაკენ.

მათ დანახვაზე შეხ-ჰამადი აჩქარებით მოშორდა ხეს, დაღმართს დაეშვა და შორს ვებერთელა უძლურების გამო მიწაზე წაქცეულ ხეზე წამოწვა.

მიუახლოვდა წყაროს თუ არა, ქალთა ჯგუფი დაი-

შალა: ზოგი წერიალ-ანქარა წყაროს მიეაჩდა, ზოგი მოლ-ზე წამოჯდა, ზოგი მოჭრილ ხეზე აცოცდა და თავისი უდარდელი ურიამულით მიუკუჩებული არე-მარე აახმატოეს.

— ქალო, აქეთ მოდი, აქეთ—გაიძახოდა ერთი.

— არა, აქეთ წამოდით შესძახა მეორე—ალვის ხე-სავით აერიდნილმა ქალწულმა, და ყველა მის გაყენა.

— აბა, ცეკვა, თამაში—სთქვა შესამეგმ

— შენ დაირა დაუკარი—უთხრა მეორემ და იმავე წყლის პაწია, ვიწრო ადგილს, წყაროს წინ ქალწულთ საუცხოო ფერხული, ცეკვა, თამაში გაიმართა.

— დამაცათ, დაირა დარბილდა და უნდა გავახუ-როთ—სთქვა მედაირებმ.

— აბა ვეშველოთ, ახმაურდენ მოთამაშენი, და თვა-ლის დახამხამებაში პატარა კოცონი გააჩაღეს. ცერხლის ალმა დაირას თითქოს მადა გაუქსნაო, სასიამოვნოთ ახ-მაურდა, ქალწულთ სიმხიარულემ იმატა და მოცეკვავეთა სიხარული ტუქს აყრუებდა.

ამ დროის გამოჩნდა შორს მომავალი კიდევ ერთი აგალგაზდა ასული, მის დანახვაზე დაირის მიმზიდველი ხმა შეწყდა და ყველამ მხიარულად ერთხმათ შესძახა:

— ასეათ მოდის! ასეათ!

ორი ასული ქურციკივით მოსწყდა ამხანაგებს და ასეათს მიეგება.

ასეათს ხელში პატარა, კოხტა სურა ეჭირა და დინ-ჯათ, ნელა მოსრიალებდა.

ასეათი აულის ულამაზესი ასული იყო, ისარივით სწორი წელი ჰქონდა, აზნექილ, მალალ ქორფა მკერდზე მარჯვნივ და მარცხნივ ორი კოკორი თეთრ, გამჭვირვა-ლე აბრეშუმებში მორცხვად გამოიყურებოდა მალალი ბრო-ლივით კისერი, თეთრი მოგრძო სახე, თხელი მარწყვის ფერი ტუჩები, შავი თვალები რომელთა ზემოთაც, თით-ქოს მხატვარს გაუელია ნახშირით ორი ხაზიო, გრძელი

წარბებით იყო შემცული, ორი გიშერივით შავი, სამ წყებად დაწნილი თბა წილს დაბლა სცემდა.

— აბა, ასვათ შენზე ჯერი, დაიძახა ერთმა ასულმა, როდესაც ასვათი მიუახლოვდა ჟველას სალაშს აძლევდა.

— დამაცათ სული მოვითქვა, სიცხვა. მეტათ დავიღალე—სთქვა ასვათმა, სურა მიწაზედ დასდგა და იქვე ახლო მოიკეცა, სურა წაიქცა, დაგორდა და პატარა ბუჩქს მოექცა.

— აქ ძალიან გრილა! სთქვა ერთმა ასულმა.

— ძალიან, ძალიან—დასტური დასცა ასვათმა.

— მე ხშირათ დავდივარ აქა. ეს ადგილები მეტად მიყვარს. მყუდრო და მშეიღი ადგილია.

მცირე დასვენების შემდეგ, ისევ დაირის ხმა გაისმა, ასვათ სათამაშოდ მოემზადა: ორივე ხელი წელზედ დაიდვა, ყელი გადიზნიქა და მოწყვეტილი ვარსკელავივით გაცილდა მწვანე მოლზე. და ისიც ახმაურდა.

ხეზე მიწოლილ შეხ-ჰამადს რა ესმა ქალწულთა ხმაურობაზე ასვათის მოსელა თავი წამოჰყო, დაცერდა ქალთა კრებას და იმ წუთიდან თვალი არ მოუშორებია იმ ადგილიდან, სადაც ასვათი დაირის მოკრიალე ხმაზე ხან მაისი: პეპალასვეით დაციალებდა. ხან შველივით როკავდა. შახ-ჰამადი მთლათ ყურადღებათ გადაიქცა და მიჯაჭეული იმ ალაგას სულ განაბული შეყურებდა. დიღხანს ცეკვავდა ასვათ, ვიღრე არ დაიქანცა და მონადირის რუკით ვანგმირულ ირემივით მოსხლეტილი არ დაეშვა წყაროს ნაპ რას.

მშე დასავლეთისკენ გაღიხარა და სალამოს ბინდმა დაჰკრა.

ქალიშვილები წამოიშალენ და შინისკენ გასწიეს. ასვათიც მათ გაჰყვა.

შეხ-ჰამადს გული შეექმიშა. მწარე სევდამ ლახვა-

რი კრა სულს და სხეულმაც გაიზიარა გულის ასეთი ტკი-ვილი, შეხ-ჰამაღი ბარბაცით წამოდგა, ხეს ნიდაყყით მიეყრ-დნო და თვალი ასეათს გააყოლა.

შეხ-ჰამაღი ერთნაირათ აიტანა რაღაც ჯადოსნურმა ალმა დიდ ხანს, ხარბად აკვირდებობა და ოჭერდა იგი ასეათის ყოველ მოძრაობას, სიტყვას, სიკილს, ხმას და თან რაღაც უკრაური ძალა იზიდავდა მას ასეათისაკენ. იგი ბედნიერი იყო, ვიდრე ასეათ შის თვალთა ხედვას არ მოშორებდა, მაგრამ ახლა, როდესაც იგი ტურფა ასული მას ყოველი წუთით შორდებოდა, ეცლებოდა, შეხ-ჰამაღი გიუჟრმა სურვილმა აიტანა.

არ შემიძლია ახლოს უნდა ვნახო! სოქვა და ადგი-ლიდან ელვის სისწრაფეთ წამოიჭრა.

თოფის აღებაც კა დაავიწყდა.

ამ დროს შეხედა, რომ ასეათ მობრუენდა და ჩქარის ნაბიჯით ჩყაროსკენ წამოვიდა.

; შეხ-ჰამაღი გულში იმედის ყვავილი გადაეშალა და ქალისკენ ფეხ-აკრეფით წავიდა.

ქალმა წყაროს რომ მიაღწია, როდესაც ძებნა დაუწყო. ამ დროს გაისმა შეხ-ჰამაღის ხმა:

— ღუშუ (ქალი!)

ასეათი უცბათ მობრუნდა, უცნობის დანახვაზე შე-შინდა და დაიხია.

— რად შეგეშინდა ლამაზო! მე კაცის ჭამა როდი ვი-ცი, ტკბილად უთხრა შეხ-ჰამაღმ,

— რას გრძანებ? მაგრამ ისე ასეთ ადგილს ჩარტო ქალი .. აირია ასეათი და შეხ-ჰამაღს შეანათა შავი თვა-ლები; ქალის ორი მაყვალი თვალიდან ნასროლი ისარი შეხ ჰამაღს გულს დაესა.

— ვისი შვილი ხარ? მითხარ, გვთაყვა.

— მე გახლავარ შახმარდინის ქალი, შახმარდინს ხომ ცნობ, იქ მაღალ მთაზე განმარტოებით რომ სახ-ლობს — დამშვედებით მიუგო ასეათმა.

ეს არ იყო, არც მაისის დილის მგოსნის რეპილი
ხმა, არც ახალი ფოთლის ნაზი შრიალი. არც მდევლოს
ქვეშ მიმავალ წყაროს გახმაურება, არა, ეს იყო მომჯა-
დოებელი ხმა ასვათის ოქროს ყელიდან პამსული.

— რატომ დაბრუნდი?

— სურა დამავიწყდა და უნდა ენახო.

— სურა? სად წავიდოდა, აქ იქნება სადმე ..

— არა, აგერ ბუჩქებში მიმალულა...

ალბათ წყალი გინდოდა...

— დიახ,

— ხომ შეიძლება სურა წყალით აგივსო.

— არა, ნუ ირჯები... მე თვითონ...

— აბა რას ბრძანები? ეს რა დიდი საქმეა — სთქვა
შეხ-ჰამაღმა, სურა წყლით ააესო და ასეათს შესთავაზა.

· შევათმა სურა გამოართვა და მობრუნებას აპირებდა,
როდესაც დაინახა, რომ შეხ-ჰამაღს ფერი წაუკიდა.

— თქვენ, მგონია, ავადა ხართ — სთქვა ასეათმა და
შეჩერდა.

— რა დროს მღალატობ გულო, უკუცყოფილოდ ჩაი-
ჩურჩულა შეხ-ჰამაღმა და ფერ-წასთლი მიწაზე დაეშვა.

— ძალიან ცუდათ ხარ... წყალი ხომ არ გინდა?

— მომეცი! ცოტა შებლი გავიგრილო! ძლიერ მიუგო
შეხ-ჰამაღმა და შემდეგ დაუმატა: არაფერია, ეგ გულის
სისუსტე ხშირად მემართება!.. ნუ შეგეშინდებათ...

— მე არაფერი, მაგრამ თქვენ ცოდო ხართ... შინ
რომ წამომყებოდეთ კარგი იქნება. ჩეენთან დაისუენებ,
მორჩები. შეეცვეშა ასეათი.

— წამოვიდოდი ზაგრამ... მიუგო შეხ-ჰამაღმა.

— რატომ არ წამოხვალ?

— ეგ შეუძლებელია.

— მიზეზი?

— შეშინდები.

— რათა, ღმერთო ჩემო, შენ კი არა აბრექების არ
მეშინია, ზოგჯერ დედა მეტყვის შეხ ჰამად აბრეკი შეგ-
ხვდებაო, მაგრამ ამაზე გულიანად გადვიხარხარებ ხოლმე
და ვეტყვი: მერე რა შეხ-ჰამად განა აღამიანი არ არის,
მასაც სწორიდის აქვს — მეთქი.

— მაში, შენ შეხ-ჰამადის არ შეგეშინდება?

— არა!

— შეხ-ჰამადი მე ვარ, აღელვებული ხმით წარმოს-
თქვა აბრეკმა და ცოტა წარმოიწია.

— შენ, აბრეკი? შეხ-ჰამადი? შიშით დაიძახა ასვათმა
და უკან დაიწია.

— ხომ შეგეშინდა? არა?

— ცოტა, ასე მოულოდნელად საბრალო, ავად უნდა
იყო!

-- მე დაჭრილი ვარ

— დაჭრილი? სად მერე?

— მხებებში. ჯერ ჭრილობა არ მომრჩენია, აქ მო-
ვედი წყლის ნაპირას, მაგრამ, როდესაც შენ დაგინახე...
მაგრამ, არაფერია, გმიდლობ პატივისცემისათვის და ყვე-
ლათერი ამისთვის, რაც იყო, ნება მომეცი შენს კალთას
ვეამბორო...

— რა საჭიროა. ვწუხვარ, რომ დახმარებას ვერ გა-
გიწევ. ჩემდა სახსოვრად ეს მიზუნენია — სოქვა ასვათმა,
ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცი ამოილო და აბრეკს გა-
დასცა.

— გმადლობ, გმადლობ... ათასჯერ გმადლობ... სთქვა
გონება დაკარგულმა, დასუსტებულმა შეხ-ჰამადმა და წა-
მოიწია.

ასვათმა სალამი მისცა და განშორდა.

შეხ-ჰამადმა რამდენჯერმე მძიმედ ამოიხვნეშა, წა-
მოდგა, თავი აიღო და ნელის ნაბიჯით მთებს აპყვა.

თავი მეოთხე.

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შეხ-ჰამადი პირ-ველად ასემთს შეხებდა. იმ დღიდან შეხ-ჰამადი ერთიანად გამოიცვალა, თუმცა შეხ-ჰამადმა ასვათი სამჯერ ნახა, მაგრამ თუ ქალის შეხვედრამდე თავი გამზედავათ და თა-მამათ ეყირა, ქალის წინაშე, გარდა უპრალო უმინიშვნელო სიყვარულისა, ვერაფერს ახერხებდა.

შემდეგ, მარტო ჩენილი, ისევ მწუხარებასა და სასო-წარკეთილებას იწვევლა თავი ამ გაუბედაობასთვის, რამ-დენჯერ გადასწყვიტა ასვათისათვის თავისი მწველი სევ-და გაეზიარებია.

მაგრამ ასვათის ტანის საუკხოო მოხაზულება, მისი ხმის ნაზი ხმაურობა, სიჩერლე, სინაზე და ნამდვილი ქალუ-რი ნარჩარება აბრეეს ნათლად აგრძნობინებდა, რომ მათ შორის ისეთი უფსერული იყო ამოთხრილი, რომ ხიდის გადება ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

გონების თვალის აწონ-დაწონებით ეს, აუტანელი მდგო-მარეობა შეხ-ჰამადს გულს ულრინიდა.

ხშირად ამხანაგებს დაშორდებოდა ხოლმე, და საღ-მე ხის ქვეშ მიწვებოდა და გულამოსკენილი მწარე ცრე-მლით სტიროდა. 1

შეხ-ჰამადის დუმილი, უილაჯობა და თათბირის დროს მუნდამ ყოყმანი ამხანაგების შეუმჩნევლად, რასაკვირველია, არ დარჩა, მაგრამ არავინ კისრულობდა თვით შეხ-ჰამა-დისგან განვით მისი სნეულების ნამდვილი მიზეზი.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ილეოდა ვაუკაცი. მის გულში პირველად მორიდებით დაბინავებულმა სევდამ უკვე თავზე მეუფების სკიპტრა წამოისკუპა.

შეხ-ჰამადთან ლაპარაქს ყველა ერიდებოდა, რადგან იგი ცოტა რამეზე ფიცხობდა, არავის იყარებდა და ბო-ლოს ასეთი აუტანელი მდგომარეობის გამორკვევა თვით

ოშარემ თავს იდვა. შეარჩია მოხერხებული დრო, როდე-
საც ახლო-მახლო შებ-ჰაჰის გარდა არაეინ ეგულებოდა,
გაიხმო განზე და უთხრა:

— შებ-ჰაჰად, მე შენ ძალიან გაფასებდი და ამიტო-
მაც წინამდლერობაც გადმოგეცი მეგონა, შენ აბრეკობის
ადაის ლირსულათ დაიცვდი, პირველად თუ სიხარულით
ცას ვეწეოდი, ახლა სინანულსა და მწარე საგონქებულში
ჩაევარდი სამი თვევა, რაც შენ ძეველებურად არ გამოიყუ-
რები. შენს შარჯვენის მოაკლდა ის ვაუკაცობა, რომლი-
თაც ყველგან სახელგანთქმული იყავი. ამ ბოლო დროს
ისეთი მღვიმობარეობა შეიქნა, რომ ამხანაგებში შენი ყვე-
დრება დაწყებს, ხომ იცი ჩვენში ასეთი საქმე ჩუდამ სი-
სხლის ღვრით თავდება. შებ-ჰაჰად, გევედრი, ნურას დამი-
მალავ, ყოველივე მითხარი და შეიძლება საქმეს ვუშვე-
ლოთ.— დასრულა ომარემ და შებ-ჰაჰადს შეხედა.

შებ-ჰაჰადი ფერ ნაკლული იჯდა, მას თვალებიდან
ცრემლი გადმოსდიოდა და განუერ მკერდს ეჭურებოდა.

— შემ-ჰაჰად! სტირი? გაოცემით შეჰქითდა ომარემ
და შებჰაჰადისკენ გადიხა—.

— ესტირი მეგობარო, ესტირი, ჩემს ახალგაზდურ
ალმაფრენას მეხი დაეკა და დაიმსხვრა: გული ჩემი გაგმის
რულია კაეშის მწვავი ისარით. ლაშე დლეს აქეზებს და
დლე ლაშეს, რომ გულს მოლებული ცეცხლი უფრო მშვავე
და სასტირ ტყივილთა ალმძრელი შეიქნეს.

— მითხარ ყველაფერი რაც გიჭირს და ალლაპხს
ვფიცავ დაგეხმარო, თუნდ ტყვიამ გულიც კი გაშიპოს.

— რა დროს დამალვაა ერთხელ, როდესაც ჭრილო-
ბა ჯერ კიდევ არ მომაჩენოდა, ერთ წყაროსთან მიველ
დასუსტებული ვიყავ. მეგონა ცივი წყალი გამომადგებო-
და, მავრამ იქ ისეთი აბავი შემხვდა, რომლის ჭრილობის
გაქარწყლებასაც ვერაფერი დოსტაქარი ვერ შესძლებს.
იქ შევხვდი შებ-ჰაჰდინის ასულს, ასვათს. მისმა სინაზემ

და სილამაზნშ გონება წამართვა, ტყვიით განგიირულ, ზე-
ციდან მიწას დანარტებულ არწივს დამამსგაესა. მას შეძ-
ლევ ჩემი გული შუაზე გაიპო, მას შემდეგ ჩემს ვაუკაცო-
ბას გასცილდა ის ძალა, რომელიც გასაჭირის დროს, რო-
დესაც ტყვიას ზუტნი გაქონდა, სიმამაცეს მიმატებდა.

— რას იტყვი ამაზე მოაჩი? შეეკითხა შებ-ჰასლი
ომარეს.

— რა უნდა გითხრა, გაოცებული ვარ. გიყურებ და
არა მჯერა, რომ შენ აბრეკობის ადათი დაგვიწყებია.

— მას სოვედა, ვიცოდი, გააწყვეტინა შებ-ჰამალის, მა-
გრამ სიყვარული მძლავრი ყოფილია. ბევრი უძილო ლამა,
ბევრი დღე ზავ ფიქრში გამიტარებია, მაგრამ სიყვარულმა
ჩემში ყველა სხვა გრძნობა გაანადგრუა. ერთი მიზარ
ომარე, შენ არასოდეს არ გვაარებია?

— რას მიქვიან სიყვარული? ადამიანს ქვეყანაზე
ორმოცდა-ჩვილები წელიწადი გამიტარებია და დიაცის
სიყვარული კი გულს არ გამარებია.

— მაშ სიყვარულის შენ არათერი იცი?

— გამიგონია ასეთი გრძნობა არსებობსო, ალლაპს
აუცდენია ჩემთვის ეგ განსაცდელი.

— ომარე! შენ მაინც ჩემშე მეტად გამოცდილი ხარ...
შენ ყველაფერი იცი. მითხარ, როგორ მოვიქცე?

— საქმე ადგილი მოსაგვარებელია...

— როგორ-თუ ადვილი? შესძახა შებ-ჰამაღმა და
ომარეს გადაეხვია.

— მაცალე! ჩეენ შებ-ჰამარდინს დავეცეთ, ქალი მოე-
სტაცოთ, შემდეგ შენ მასთან შეიდი — რვა დღე გაატარე
და ისევ აღრინდელი შებ-ჰამადი გახდები, სახელი არ გა-
გეტყდება და, როგორც აბრეკიც უმწიკვლო იქნები. თუ
არა და — მე სხვა წამალი არ ვიცი, სოდევა ომარებ.

— არა, ეგ შეუძლებელია! აღრე ტყვიამ გამიგმიროს
გული, ვიდრე, ასეთ საქციელს სავედენდე,

ომარე, ეგ ხომ სიგიუე იქნება? ისეთი სიგიუე, რომ-ლის მსგავსიც ჯერ არ მოსხდარა.

— მართალია, მაგრამ შენს დაკარგვას ეს მირჩევნია.

— არა, ადრევე მე თვით მოვისპობ ჩემს სიცოცხლეს.

— მაში, როგორ გინდა შებ-ჰამაღ, რომ საქმე მოვა-გვარო? ჩვენი ადათით აბრეյს ასა აქვს უფლება დიაცის სიყვარულის გამო თავის მოვალეობას ორგულათ მოვეკი-დოს ეს რომ, სახელგანთქმული შებ-ჰამადის გარდა სხვას ვისმეს დამართოდა, მას ამდენხანს ჩემი ტყვია გულს გაუ-პოლდა, მაგრამ შენ დიდი სამსახური მიგიძლვის ჩვენს წინა-შე; გევედრები, როგორც ძმა, როგორც მოხუცი დაივიწყე მაგ დიაცის სახე და განსაკლელი თავიდან აიშორე... ვაჟ-კაცი ხარ... ნება ყოფა გაქეს, შებ-ჰამაღ დიდს ცოდვას ჩადიხარ ფიცის წინააღმდეგ.

— არ შემიძლიან. წყეულიმც იყოს ის დღე, ის საათი, ოდეს დედამ მშეა, წყეულიმც იყოს ის დღე, როდესაც პირველად გულში ეს სევდა ჩამესახა. ომარე, ვხედავ, რომ უკველდელ ჩვენს შუა უფსკრული ირლვევა.

— ყოველდღე ძალა და გამბედობა მაჟლდება. მუ-დამ ასეათზე ვფიქრობ. მუდამ იმაზე ვოცნებობ ამარე შიშველე რაშე!

შეევედრბ შებ-ჰამადი ომარეს.

ომარე წამოდგა: შებ-ჰამადს მხარზე ჩელი დაკრა და უთხრა:

კარგი, კველაფერს მოვაგვარებ სოფლათ ერთი დე-დაბერი მეგულება, ბალახებისგან ისეთ წამლებს ამზადებს, რომელიც სიყვარულის სიმუშვავეს ანელებს. წავალ და მო-გიტან, რა წუთსაც დალევ, სრულიად განკაცლები.

— ეგრემც იყოს, მიშველე რამე, ომარე, შენ ჩემი მხსნელი იქნები—სთქვა შებ-ჰამაღმა და წამოდგა.

არ გაუვლია ერთ საათსაც, ომაოე ტხენით დაღმარ-თზე დაეშვა, შებ-ჰამაღმა—კი ნელის ნაბიჯით გამოევაბუ-ლისკენ გასწია.

გავიდა სამი დღე. ომარე არსადა სჩანდა. მეოთხე დღეს მზე დასავლეთსკენ საკმაოდ გადახრილი იყო, რო-დესაც შეხ-ჰამაღმა შორს მომავალ ომარეს თვალი მოკრა, გულმა ვერ მოუთმინა და დაუსტერინა. ომარემაც სტენი-თვე პასუხი გასცა. მაშინ დაწმუნდა შეხ-ჰამაღმა, რომ მისი დესტანი იყო იგი, ჩაფიქრდა, სასმელის დალევას უარს არ ყოფდა, თუმცა იცრდა, რომ ამით მხოლოდ მოკლე ხნით მოიპოვებდა სიმშეიდეს.

ამასობაში ომარეც მოახლოვდა. ცხენიდან გადმოხტა, იქვე ხეს მიაბა და შეხ-ჰამაღმა მიაშურა.

— რა პქენი ომარე? სიტყვა ხომ აასრულე? მოუთმენ-ლათ შეეკითხა შეხ-ჰამაღმა, თან გული ისე უცემდა ლამის გასკდესო.

— დიახ, მოგიტანე წამალი და იმ წყეულის სახეს სამუდამოდ დაგავიწყებს.

— სად არის ამხანაგო?

— აი, იქ ხურჯუში, მიდი, გახსენი შეხ-ჰამაღმა ცხე-ნისაკენ გაემართა, ომარემ კი ამ დროს დიდ ლოდს მოუა-რა და ვიწრო ბილიკით ტყეს მისცა თავი, შეხ-ჰამაღმა გახსნა ხურჯუნი: ფერი წაუვიდა, თვალი დაუბნელდა და ყურში ზუზუნი გაისმა. აკანკალებული ხელებით იქიდან... ქალის მოკვეთილი თავი ამოიღო და ასვათი იცნო...

დიდხანს გაშეშებული, ქასავით იდგა, შემდეგ ქალის თავი ჩიხის კალთაში გახვია და ბარბაცით გამოქვაბულში გავიდა.

იქ რომ მივიდა, კედლიდან თოფი ჩამოიღო, გარეთ ვავიდა, ნახა ნაპრალი კლდისა, სადაც თვალუწვერენელი უფსკრული ირლეოდა, შედგა ზედ, თოფი წინ დაიდგა, ჩახმახი მომართა და თოფის ლულა გულზე მიიღო, მარ-ჯვენა ფეხით დასცა ჩახმახი. თოფმ იჭექა და განგმირული შეხ-ამაღმა ლოდივით მოსკდა ნაპრალის კიდეს. ჰაერ-ში გაიელვა და უფსკრულის ძირს დაენარცხა.

ଓঁ শেষ ৪০ ১৯৩.

৮৯